პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 22 (32) პარასკევი, 23 ივნისი, 1944 წ. ფასი 1 მან.

## დღეს ნომერში

— საბჭოთა კავშირის სამამულო ომის სამი წელი (სამხედრო და პოლიტიკური შედეგები).
— ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა.
— კარლო კალაძე — საგაზაფხულო ელვა-ქუხილი, მთების სურათი (ლექსები).
— არქიტექტორი თ. ფოცხიშვილი—ახალი ამოცანების წინაშე.
— არქიტექტორი ს. ინწკირველი — შემოქმედებითი სინთეზის საკითხი.
— გიორგი ცაგახიძე — მზე და სიცოცხლე (ლექსი).
— შალვა აფხაიძე — ქართული სიტყვის ოსტატი.
— აკაკი ვასაძე — შ. დადიანი და რუსთაველის თეატრი.
— შალვა ღამბაშიძე — ქართული სცენის მოამაგე.

# საბჭოთა კავშირის სამამულო ომის სამი წელი

## (სამხედრო და პოლიტიკური შედეგები)

დღეს შესრულდა სამი წელი იმ დღიდან, რაც გერმანელ ფაშისტთა ავაზაკური ბანდები ბოროტმოქმედულად დაესხნენ თავს საბჭოთა კავშირს. სამი წელიწადია საბჭოთა ხალხი მამაცურად ეწევა სამამულო ომს თავხედი დამპყრობლების წინააღმდეგ. ჩვენი ქვეყნის ხალხები ომის პირველი დღეებიდან ერთსულოვნად აღსდგნენ თავიანთი სამშობლოს დასაცავად. წითელი არმია მძიმე, სისხლისმღვრელ ბრძოლებში 3.000 კილომეტრი სივრცის ფრონტზე აკავებდა მრავალმილიონიან, უახლესი სამხედრო ტექნიკით აღჭურვილ გერმანელ ფაშისტთა არმიას, უდიდეს ზარალს აყენებდა მას ადამიანებისა და საჭურვლის მხრივ. ფაშისტურმა სამხედრო მანქანამ, რომელმაც ცეცხლითა და მახვილით გაიარა ევროპის ათი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში, ჩვენი არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში იმტყუვნა.

ომის უკვე პირველ წელს წითელმა არმიამ გერმანელებს ულეტა მოუწყო მოსკოვთან და გაანადგურა მტრის რჩეული დამკვრელი ჯარები. უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში, სტალინგრადთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების დროიდან მტერმა უკვე ველარ შესძლო წელში გამართვა. საბჭოთა ჯარებმა, რომლებმაც შეტევა გააჩაღეს მთელი ფრონტით, დაამსხვრიეს გერმანელთა მძლავრი თავდაცვითი სისტემები სტალინგრადთან, ორიოლთან, სმოლენსკთან, ლენინგრადთან, მდინარე მიუსზე, დნეპრზე, პერეკოპთან, სევასტოპოლთან, კარელიის ყელზე, მდინარე სვირზე, გადალახეს წყლის დიდი დაბრკოლებანი—დონი, სევერნი დონეცი, დესნა, ვოლხოვი, დნეპრი, იუჟნი ბუგი, დნესტრი, პრუტი, სერეტი, ნარვა, სვირი და ამით გვიჩვენეს, რომ ყველა ზღუდე და სიმაგრე, რომლებზედაც ესოდენ ბევრს ლაყბობდნენ ჰიტლერელები, ვერ შესძლებენ გამკლავებას, თუ ამ ზღუდეებისა და სიმაგრეების განადგურებასა და გადალახვას სერიოზულად შეუდგებიან ბრძოლებში გამოცდილი და გამოწრთობილი ჯარები.

უმაღლესი მთავარსარდლობის უნარიანი სტრატეგიით, საბჭოთა გენერლებისა და ოფიცრების მოფიქრებული და გაბედული ტაქტიკით, თავისი მეომრების გმირობითა და სამხედრო ოსტატობით, ბოლოს, თავისი მძლავრი სამხედრო ტექნიკით წითელმა არმიამ მთელი რიგი სერიოზული დამარცხებანი მიაყენა გერმანელების, იტალიელების, რუმინელების, უნგრელების, ფინელების გაერთიანებულ რჩეულ არმიებს. სამუდამოდ შევლენ ისტორიაში ჩვენი ჯარების დიდი გამარჯვებანი მოსკოვთან, სტალინგრადთან და კავკასიაში, ორიოლთან და სმოლენსკთან, ლენინგრადთან და დონბასში, დნეპრზე და ყირიმში, მარჯვენა ნაპირის უკრაინის, დნესტრის რაიონებში და კარელიის ყელზე.

შეტევითი ბრძოლების განმავლობაში საბჭოთა ჯარებმა გაათავისუფლეს მტრის მიერ ოკუპირებული დაახლოებით მილიონნახევარი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, წინ წაიწიეს დასავლეთისაკენ თითქმის 2.000 კილომეტრით, ფრონტის დიდ სიგრძეზე გავიდნენ ჩვენს საზღვრებთან და რუმინეთის ტერიტორიაზე შევიდნენ. წითელი არმიის გამარჯვებებმა ფაშისტური ტყვეობიდან განთავისუფლება მიუტანეს მილიონობით საბჭოთა ადამიანს. ჩვენმა ჯარებმა გერმანელებს წაართვეს სამრეწველო ნედლეულისა და სურსათის წყაროები მათ მიერ ოკუპირებულ ოლქებში, ხოლო „სასიცოცხლო სივრცე" აღმოსავლეთში, რომელზედაც ჰიტლერელები ოცნებობდნენ, იქცა მილიონობით გერმანელი ჯარისკაცის სამარედ, ფაშისტთა სამხედრო ტექნიკის გიგანტურ სასაფლაოდ.

წითელ არმიას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდესი დახმარება გაუწიეს მამაცმა საბჭოთა პარტიზანებმა. ომის სამი წლის განმავლობაში ისინი ანადგურებდნენ მტრის ზურგსა და შტაბებს, ანგრევდნენ მის კომუნიკაციებსა და კავშირგაბმულობას, ულმობლად ჟლეტდნენ გერმანელ ფაშისტ არამზადებს. საბჭოთა პარტიზანებმა ბევრი ათასი საბჭოთა ადამიანი გადაარჩინეს გაჟლეტისა და ფაშისტურ მონობაში გარეკვისაგან.

ომის სამი წლის განმავლობაში გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ბრძოლებში დაჰკარგეს 7.800.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი მოკლულთა და ტყვედ წამოყვანილთა სახით, 70.000-მდე ტანკი, 60.000 თვითმფრინავი, 90.000-ზე მეტი ქვემეხი.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ჯარების დანაკლისი უდრის 5.300 ათას კაცს მოკლულთა, ტყვეთა და უკვალოდ დაკარგულთა სახით, 49 ათას ტანკს, 30.128 თვითმფრინავს, 48.000 ქვემეხს.

წითელი არმიის წარმატებებს მნიშვნელოვანწილად შეუწყეს ხელი ჩვენმა მოკავშირეებმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა, რომლებიც გვამარაგებდნენ უაღრესად ძვირფასი სტრატეგიული ნედლეულითა და საჭურვლით, სისტემატურად ბომბავდნენ გერმანიის სამხედრო ობიექტებს და, ამნაირად, ძირს უთხრიდნენ მის სამხედრო ძლიერებას.

**ასე, წითელმა არმიამ, რომელმაც სამამულო ომის პირველ პერიოდში ჩაშალა ჰიტლერელთა გეგმები ელვისებური ომისა, შემდგომ პერიოდში ჩაფუშა და დაასამარა მტრის თავდაცვითი სტრატეგია, მისი ვარაუდები დაპყრობილი საბჭოთა ტერიტორიების შენარჩუნებისა. გერმანელ ფაშისტთა არმია დამარცხებული აღმოჩნდა და ახლა სრული განადგურების წინაშე დგას.**

ასეთია სამამულო ომის გასული სამი წლის სამხედრო შედეგი.

როდესაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომს იწყებდნენ, ჰიტლერელი იმპერიალისტები ფიქრობდნენ, რომ წითელი არმიის პირველივე სამხედრო წარუმატებლობანი ძირს გამოუთხრიდნენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა მასების ნდობას თავიანთი ხელისუფლებისადმი, გათიშვას შეიტანდნენ სსრ კავშირის ხალხთა შორის, შეარყევდნენ მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის კავშირს, რომელზედაც დაფუძნებულია საბჭოთა სახელმწიფო. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ ომიანობის დროის სიძნელეებმა მხოლოდ შეამჭიდროეს საბჭოთა ზურგის მშრომელები, კიდევ უფრო მტკიცედ შეაერთეს ისინი თავიანთ სახალხო საბჭოთა ხელისუფლებასთან. საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა სამამულო ომის მსვლელობაში განმტკიცდა და ფოლადივით გამოიწრთო. მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის კავშირი, რომელიც დაფუძნებულია საბჭოთა საზოგადოების მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებზე, კიდევ უფრო განმტკიცდა.

გერმანელ ავაზაკებს იმედი ჰქონდათ აგრეთვე იმისა, რომ საბჭოთა მრეწველობას უნარი არ ექნებოდა თავი გაერთმია მასობრივი მასშტაბებით თანამედროვე საჭურვლის წარმოების ძნელი ამოცანებისათვის, ჩვენს ტრანსპორტს უნარი არ ექნებოდა თავი გაერთმია სამხედრო ტვირთზიდვისათვის, ხოლო სოფლის მეურნეობას—სურსათითა და სამრეწველო ნედლეულით არმიისა და ხალხის მომარაგებისათვის. მაგრამ გერმანელ ვაი-დამპყრობთა ეს გეგმები საპნის ბუშტივით გასკდა. ომის სამი წლის შედეგად გამოფიტული აღმოჩნდა არა საბჭოთა კავშირის ეკონომიკა, არამედ ჰიტლერული გერმანიის ეკონომიკა. დამარცხებებმა, რომლებიც გერმანელებმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე განიცადეს, და მოკავშირეთა ავიაციის დარტყმებმა ძირი გამოუთხარეს გერმანიის სამხედრო-ეკონომიურ ძლიერებას. ამავე დროს საბჭოთა ქვეყნის მრეწველობამ, ტრანსპორტმა და სოფლის მეურნეობამ წარმატებით გაუძლეს ომის გამოცდას. საბჭოთა ხალხი არ ზოგავს თავის ძალებს სამშობლოს დაცვისათვის და აღფრთოვანებულია გადაწყვეტილებით მკერდით დაიცვას მის მიერ შექმნილი საბჭოთა სახელმწიფო მტრის ყოველგვარი ხელყოფისაგან. სამამულო ომმა გამოიწვია ხალხების უმაგალითო პატრიოტული აღფრთოვანება, ხალხთა მასების დაუშრეტელი შემოქმედებითი ენერგია, რომელიც მიმართულია წითელი არმიის დასახმარებლად. ამჟამად, ომის მეოთხე წლის ზღურბლზე, საბჭოთა კავშირს აქვს მძლავრი სამხედრო მეურნეობა, რომელიც აკმაყოფილებს წითელი არმიის მოთხოვნილებას შეიარაღების, საომარი მასალის, სურსათისა და საჭურვლის დარგში. საბჭოთა მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ, რომლებმაც საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა ფრონტის სამსახურში დააყენეს, უზრუნველჰყვეს წითელი არმია ყოველივე იმით, რაც საჭიროა გამარჯვებისათვის. მტრის ყოფილი უპირატესობა ტანკებისა და ავიაციის რაოდენობის მხრივ უკან დარჩა, ხოლო საბჭოთა კავშირის ეკონომიური შესაძლებლობანი დღითი-დღე იზრდებიან.

**ასე, საბჭოთა ხალხმა ჩაფუშა მტრის ყველა ვარაუდი, რომ საბჭოთა წყობილება მტკიცე არ იქნებოდა. ხალხთა ურღვევ ძმურ თანამეგობრობაზე დაფუძნებული საბჭოთა სახელმწიფო ომის მსვლელობაში გამაგრდა და განმტკიცდა, ხოლო ხალხთა ჩაგვრაზე დაფუძნებულმა ფაშისტურმა სახელმწიფომ ვერ გაუძლო ომის გამოცდებს და გარდუვალი კატასტროფის წინაშე დგას.**

ასეთია სამამულო ომის გასული სამი წლის პოლიტიკური შედეგი.

სამი წლის წინათ ჰიტლერელები თავიანთ თავს ევროპის მბრძანებლებად სთვლიდნენ. გერმანიამ, რომელიც იმონებდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, ავაზაკურ კავშირში ჩააბა იტალია, რუმინეთი, ფინეთი, უნგრეთი, ბულგარეთი. იგი ნერგავდა და ხელს უწყობდა თავის აგენტურას ნეიტრალურ სახელმწიფოებში, ძლიერ ზეგავლენას ახდენდა მათზე და სერიოზულ დათმობებს მიაღწია მათი მხრივ თავის სასარგებლოდ. ჰიტლერული გერმანია ემუქრებოდა მსოფლიოს ყველა ხალხის სიცოცხლესა და უშიშროებას. თავისუფლებისმოყვარე ხალხები მხოლოდ მაშინ იწყებდნენ გაერთიანებას ერთიან ანტიჰიტლერულ ბანაკად. ფაქტიურად ჩვენი ქვეყანა მარტო უმკლავდებოდა ჰიტლერული გერმანიისა და მისი თანამონაწილეების მთელი ძალების შემოტევას.

ახლა მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა. ამჟამად უტევს და წარმატებებს აღწევს არა ჰიტლერული გერმანია, როგორც ეს იყო სამი წლის წინათ, არამედ, პირიქით, მოკავშირე სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები ყველგან ურტყამენ და ავიწროებენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს. მოკავშირე სახელმწიფოები სჭარბობენ მტერს ჯარებისა და შეიარაღების რაოდენობითა და ხარისხით. მოკავშირე სახელმწიფოების ერთიანობა ამჟამად ისე მტკიცეა, როგორც არასოდეს არა ყოფილა. მოკავშირე სახელმწიფოებს აქვთ ჰიტლერული გერმანიის შეიარაღებული ძალების სრული განადგურების შეთანხმებული გეგმები. ბრიტანეთისა და ამერიკის ჯარების ბრწყინვალედ განხორციელებული შეჭრა ჩრდილოეთ საფრანგეთში, მოკავშირეთა ჯარების წარმატებითი შეტევა იტალიაში იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან გერმანიას მოუხდება იომოს ევროპის ტერიტორიაზე როგორც წითელი არმიის წინააღმდეგ, ისე ჩვენი მოკავშირეების—ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების წინააღმდეგ. ახლა, როდესაც წითელი არმიის და ჩვენი მოკავშირეების არმიების საერთო ღონისძიებანი მიმართული არიან უშუალოდ გერმანელების მიერ დამონებული ქვეყნების განთავისუფლებისაკენ, როდესაც გაერთიანებული ერების ჯარები რკინის ხელით სწვდებიან ყელში ჰიტლერულ გერმანიასა და მის ვასალებს ევროპაში, ჰიტლერულ ბანდას უკვე არავითარი გზით აღარ შეუძლია თავიდან აიშოროს გარდუვალი და სრული დამარცხება. ახლა ყველასათვის ცხადია, რომ ჰიტლერელებმა, რომლებიც მთელი მსოფლიოს დაპყრობაზე ფიქრობდნენ, თავიანთი ძალებისათვის შეუფერებელ ამოცანას მოჰკიდეს ხელი. ჰიტლერული ხროვის მდგომარეობა მოგვაგონებს კრილოვის არაკის იმ ბაყაყის ბედს, რომელმაც განიზრახა ახოვნობით ხარს გასტოლებოდა, დაიწყო ქშინვა და ბერვა, მაგრამ ჭიმვით გასკდა და მოკვდა.

ავაზაკური ფაშისტური ბლოკი ირღვევა. ფაშისტური გერმანია მძიმე სამხედრო დამარცხებათა შედეგად დაღუპვის პირას აღმოჩნდა. გერმანიის ყოფილი მოკავშირე იტალია ამჟამად ბრძოლას ეწევა გერმანელი იმპერიალისტების წინააღმდეგ. ფინეთის დანაშაულებრივმა მმართველმა ხროვამ, რომელმაც ჰიტლერის საამებლად უარჰყო საბჭოთა კავშირის დიდსულოვანი სამშვიდობო წინადადებანი, ფაქტიურად ფინეთი უკვე სამხედრო კატასტროფამდე მიიყვანა. ჰიტლერის სხვა ვასალები—რუმინეთი, უნგრეთი, ბულგარეთი უფსკრულზე არიან დაკიდებულნი. ფაშისტური გერმანიის თანამონაწილეებს ევროპაში საკმაო დრო და ყველა საჭირო პირობა გააჩნდათ, რათა გაეწყვიტათ კავშირი გერმანიასთან და თავიანთი ქვეყნები გადაერჩინათ განადგურებისა და ამაოხრებელი ომისაგან. მაგრამ ჰიტლერელთა თანამონაწილეები მეტად მტკიცედ შეეხარდნენ ავაზაკურ ჰიტლერულ ხროვას და არ ზრუნავენ თავიანთი ხალხების ბედისათვის. ჰიტლერის ფინელ, რუმინელ, უნგრელ, ბულგარელ ყმებს ურჩევნიათ იმოქმედონ თავიანთი ქვეყნების ხალხთა ინტერესების საზიანოდ და ფაშისტური გერმანიის საამებლად. ჰიტლერელთა ყმებმა საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ მათი ქვეყნები ოკუპირებულია გერმანელთა ჯარების მიერ. ჰიტლერელებმა, რომლებიც ცდილობენ გადასდონ გერმანიის ტერიტორიაზე ომის გადატანის ვადა, ფინეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი გერმანიის თავდაცვის წინაასპარეზად გადააქციეს. მაგრამ ამ ქვეყნების ხალხებს, რომელთა მმართველნიც ჰიტლერელებს მიეყიდნენ, ამჟამად საშუალება აქვთ მოკავშირე სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების დახმარებით განდევნონ გერმანელი ოკუპანტები და მათი დამქაშები თავიანთი ქვეყნებიდან. ჰიტლერის ვასალი ქვეყნების ხალხებს მხოლოდ ამ გზით შეუძლიათ მოიპოვონ თავისუფლების უფლება.

ჰიტლერელების პარპაშმა ევროპაში თვალნათლივ დაგვანახვა, რომ ფაშისტები არიან ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ჩამხშობნი. ამავე დროს გაერთიანებული ერების არმიები ევროპაში მიდიან როგორც ჰიტლერული ტირანიისაგან ხალხთა მხსნელები და ფაშისტების მიერ დაჩაგრული ქვეყნების მიწა-წყალზე შედიან ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით. სწორედ ამიტომ გერმანელთა მიერ დამონებული ხალხები ამჟამად უწევენ და მომავალშიც გაუწევენ სულ უფრო მზარდ დახმარებას გაერთიანებული ერების შეიარაღებულ ძალებს.

**ასე, ომის მსვლელობაში საფსებით ჩაიფუშა ჰიტლერელ დამპყრობ იმპერიალისტთა ყველა საგარეო-პოლიტიკური ვარაუდი და გეგმა, ჰიტლერული ავაზაკური ბლოკი გაკოტრდა, ხოლო თავისუფლებისმოყვარე ხალხთა კავშირი უძლეველ ძალად გაიზარდა და ახლა ყველა შესაძლებლობა გააჩნია დაანგრიოს ავაზაკური ბუდე ფაშისტი აგრესორებისა ევროპაში, დასაჯოს ხალხთა ტანჯვასა და უბედურებაში დამნაშავენი, აღკვეთოს დამპყრობლური ომების განმეორების შესაძლებლობა.**

ასეთია ომის სამი წლის საგარეო-პოლიტიკური შედეგი.

ომის სამი წლის სამხედრო და პოლიტიკური შედეგები მთელი სიცხადით მეტყველებენ იმას, რომ ჰიტლერულმა გერმანიამ უკვე წააგო ომი და ახლოვდება მისი სრული განადგურების ჟამი. სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების არმიები ყოველი მხრიდან იერიშით იკაფავენ გზას ფაშისტური გერმანიის უაღრესად მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ცენტრებისაკენ და შორს აღარ არის ის დრო, როდესაც გამოცხადებული იქნება ამ ღონისძიებათა ზეიმი. ომი ახლა დასასრულისაკენ მიდის. მაგრამ სრულ გამარჯვებამდე დარჩენილი გზის ნაწილი ადვილი როდი იქნება. ომი შევიდა უაღრესად გაავთრებულ, გადამწყვეტ და ყველაზე უფრო ძნელ ფაზაში. დაჭრილი და მომწყვდეული ფაშისტი მხეცი გაავთრებით დაიწყებს თავის დაცვას. რაც უფრო მეტად მიუახლოვდება ფრონტი გერმანიის სასიცოცხლო ცენტრებს, მით უფრო შეუპოვარი იქნება ჰიტლერელების წინააღმდეგობა. საჭირო იქნება კიდევ რამდენიმე მძლავრი დარტყმა, რომ მტერი საბოლოოდ გავანადგუროთ და გავაცამტვეროთ.

გასაგებია, რომ ამ ამოცანების შესრულება შეიძლება ყველა მოკავშირე ქვეყნის არმიების მხოლოდ ერთობლივი გადამწყვეტი მოქმედებით, ჰიტლერული გერმანიისა და მისი ვასალების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლებში იმ ძირითადი შეიარაღებული ძალების თავის დროზე შეყვანით, რომლებიც გაერთიანებულ ერებს გააჩნიათ.

შეიძლება ეჭვი არ შევიტანოთ იმაში, რომ მოკავშირე სახელმწიფოები, რომლებმაც მიზნად დაისახეს იხსნან მსოფლიო ფაშისტ დამრბევთაგან, სამოქმედოდ გამოიყვანენ მთელ თავიანთ ძალებს ამ დიადი მიზნის მისაღწევად.

**საბჭოთა საინფორმაციო ბიურო**

# ბრძანება
## უმაღლესი მთავარსარდლისა
### საბჭოთა კავშირის მარშალ გოვოროვს

ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა განავითარეს მანერჰაიმის ხაზის გარღვევა, დასძლიეს მტრის წინააღმდეგობა ვიბორგის გამაგრებული რაიონის გარეთა და შიგნითა რკალებზე და 20 ივნისს იერიშით დაიკავეს ქალაქი და ციხე-სიმაგრე ვიბორგი.

მანერჰაიმის ხაზის გარღვევისას და ქალაქ და ციხე-სიმაგრე ვიბორგის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ გუსევის, გენერალ-ლეიტენანტ ჩერეპანოვის, გენერალ-ლეიტენანტ ანისიმოვის, გენერალ-ლეიტენანტ ალფიოროვის, გენერალ-ლეიტენანტ ტიხონოვის, გენერალ-მაიორ ფადეევის, გენერალ-მაიორ ბუსაროვის, გენერალ-მაიორ ლიაშჩენკოს, პოლკოვნიკ ელშინოვის, პოლკოვნიკ რადიგინის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ოდინცოვის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ მიხალკინის, არტილერიის გენერალ-მაიორ პიადუსოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ჟდანოვის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბარანოვის, პოლკოვნიკ შპილერის, პოლკოვნიკ პროცენკოს, პოდპოლკოვნიკ კოვალევსკის, პოდპოლკოვნიკ სოკოლოვის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ რიბალჩენკოს, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ სამოხინის, ავიაციის გენერალ-მაიორ ანდრეევის, ავიაციის გენერალ-მაიორ შჩერბაკოვის, პოლკოვნიკ სკოკის, პოლკოვნიკ ხატმინსკის, პოლკოვნიკ ბრესკოვის მფრინავებმა და საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ბიჩევსკის მესანგრეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „ვიბორგის" სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 21 ივნისს 0 საათსა და 30 წუთზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორასოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ლენინგრადის ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც გაარღვიეს მანერჰაიმის ხაზი და დაიკავეს ქალაქი და ციხე-სიმაგრე ვიბორგი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მანერჰაიმის ხაზის გარღვევაში და ქალაქისა და ციხე-სიმაგრე ვიბორგის დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ-ფინელ დამპყრობლებს!

**უმაღლესი მთავარსარდალი**
**საბჭოთა კავშირის მარშალი**
**ი. სტალინი**

1944 წლის 21 ივნისი.

---

**კარლო კალაძე**

## საგაზაფხულო ელვა-ქუხილი

[illegible]

## მთების სურათი

[illegible]

## რუსული ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობა

[illegible]

არქიტექტორი თ. ფოცხიშვილი

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი

# ახალი ამოცანების წინაშე

[illegible]

# ახალი სამეცნიერო ინსტიტუტი

[illegible]



[illegible] 1941 წ. დეკემბერში.

არქიტექტორი ს. ინწკირველი

საქ. არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი

# შემოქმედებითი სინთეზის საკითხი არქიტექტურაში

[illegible] ...ვალი არქიტექტურული სახეები. ამ ქალაქების მოედნები, ქუჩები, ბაღები და პარკები შევსებულ უნდა იქნან [illegible] ვალჭირით სინთეზს, რომელიც სოციალისტურ სინამდვილეს უნდა ასახავდეს.

გიორგი კაჭახიძე

# მზე და სიცოცხლე

მიწაზე წვება სალამოს ბინდი,
აკრიფეს ველზე დაჭრილი ყველა.
მზე შუქდამცხრალი ბრძენივით მიდის,
ბორცვს ეფარება და ჩადის ნელა.
ჭაბუკი მტკიცე სანგარში მჯდომი,
მზეს უცქერს, თითქოს ოცნებას ართობს,—
ყვავილთა კრეფა არ არის ომი
და ეთხოვება ჩამავალ მნათობს.
რა მოაქვს ღამეს, ვინ იცის ახლა!
ფრონტი არ არის ბუმბული რბილი,
ვინ იცის, მნათობს ფიჭვნარის მაღლა
ნახავს თუ არა ამოსულს დილით.
სურს თავის ბედზე იცოდეს რამე,
წამოეშლება მწუხრივით დარდი.
მტრის დაზვერვაში ატარებს ღამეს
და უთვალთვალებს სიკვდილის ლანდი.
მაინც მტრის ჰიშკრის შელებას ბედავს,
დგას გუბეებად ეზოში სისხლი.
ბრუნდება გვიან და უკვე ხედავს
წითლად ცის კარზე ნათლდება ნისლი.
თენდება, თვალებს მზე მორცხვად ახელს.
ოქროს წამწამთა რხევის ხმა ისმის
მზე მოდის... [illegible] ხახე, —
ო, კვლავ [illegible] ამოსვლა მისი.
ხშირად ჭაბუკი სანგრიდან ასე
მზეს ეთხოვება მწუხრის ჟამს მარტო,
მაგრამ ყოველთვის სიცოცხლით სავსე
ნახულობს დილით ამოსულ მნათობს.
მზეს ეგებება ფიქრებით ცაში
და დილის ჰაერს ისუნთქავს ხარბად,
მზე არ უქრება და ფიქრობს ვაჟი;
— არ მიწერია სიკვდილი ალბათ!
ხარირემივით გაჰყურებს სივრცეს,
უჩინარდება სიკვდილის კვალი.
მტერს უტევს მძლავრად და უფრო მტკიცედ
და გამხნევებულს შორს უჭრის თვალი.
არ დაემხობა დამსხვრეულ მკერდით
სისხლიან მიწას ტყვიებით ნახნავს.
მზის არჩაქრობით ულიმის ბედი
და მზის ამოსვლას ის ბევრჯერ ნახავს.

# დავით წერეთლის ნაწარმოებთა გამოფენა

მხატვართა კავშირის ხელმძღვანელობას საჭიროდ და თავის პირდაპირ მოვალეობად მიაჩნია, რათა საერთო ჯგუფურ გამოფენებთან ერთად დროდადრო მოაწყოს ინდივიდუალური გამოფენები და ამრიგად ცალკეულ მხატვართა შემოქმედება უფრო ფართოდ და ამომწურავად გააცნოს ჩვენს საზოგადოებას. ამ გადაწყვეტილების შედეგია დავით წერეთლის ნაწარმოებთა ახლანდელი გამოფენა, რომელმაც მთლიანად დაიკავა მხატვართა გალერეის ერთი დარბაზი. მხატვარს გამოფენილი აქვს თითქმის ყველაფერი, რაც უკანასკნელი ოციოდე წლის განმავლობაში შეუქმნია. დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი გუაშით, ზეთიან ფერებით, აკვარელით შესრულებული პეიზაჟები, მხატვრულად საინტერესოდ დანახული და გადმოცემული ხედები. მხატვარი კარგად აზრხებს გაშლილ, სივრცის თუ საგნების პერსპექტივაში გადმოცემას უშუალოდ, გარკვეული ფერებით და არა თანდათან გაბაცებული ტონებით. ასევე კარგად აქვს შესრულებული მხატვარს საყოფაცხოვრებო სცენები, უმთავრესად სოფლის ცხოვრებიდან /ქართლი/, და ფანქრით შესრულებული ესკიზები, წამიერად ჩახატული პორტრეტები. ბოლო დროს შესრულებულ ნახატებში იგრძნობა ფანქრის მარჯვედ ხმარება, რამდენიმე ძირითადი ხაზით და შტრიხით დამახასიათებლის გადმოცემა, საკუთარი მანერის გამომუშავება. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ნახატს ლაკონიურობასთან ერთად ემჩნევა სიმშრალე, რაც გამოწვეულია შტრიხის მოხმარების თავისებურებით და ამა თუ იმ საგნის ან სხეულის ფაქტურის გადმოსაცემად ნიუანსების უგულებელყოფით.

გამოფენაზე მრავლად არის წარმოდგენილი ზეთიან ფერებით და გუაშით შესრულებული კომპოზიციები. მხატვარს თითქო გუაშის ხმარება უფრო უნდა ემარჯვებოდეს, რადგან გუაშით წერის პრინციპით არის შესრულებული ზეთიან ფერებით დაწერილი სურათებიც. მხატვარი რამდენიმე მძაფრი მკაფიო ფერით, ნატურის შესაბამისად, სწერს სურათს და მეტწილად სასურველ ეფექტსაც აღწევს.

ზეთიან ფერებით შესრულებულ პორტრეტებს შორის აღსანიშნავია ნიკო ლორთქიფანიძის პორტრეტი. პორტრეტი დამთავრებული არ არის, მაგრამ იგი მაინც კარგად გადმოგვცემს მწერლის ნაკვთებს და იერს. ეს პორტრეტი მხატვარს 1923 თუ 1924 წელს დაუწერია. ფანქრით და აკვარელით შესრულებულ ნამუშევრებიდან აღსანიშნავია სამამულო ომის გმირთა ოსტატურად შესრულებული პორტრეტები. გმირთა იერით და პოზით მხატვარი დამაჯერებლად გადმოგვცემს მათს სულიერ სიმტკიცეს და ვაჟკაცობას.

მეტად მიმზიდველია აკვარელით შესრულებული პატარა, თითქმის მინიატურული, პეიზაჟები. აქაც იჩენს მხატვარი სათანადო ოსტატობას, მიმზიდველად და განცდით გადმოგვცემს ამა თუ იმ კუთხის პეიზაჟის თუ საგნის თავისებურებას. მხატვარი ოსტატობასთან ერთად ამჟღავნებს გემოვნებას და ზომიერების გრძნობას, ურომლისოდაც შეუძლებელი იქნებოდა იმ შთაბეჭდილების შექმნა, რომელსაც მხატვარი მაყურებელზე ახდენს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დ. წერეთლის გამოფენაზე წარმოდგენილი ყველაზე დიდი ნაწარმოები—ორიგინალური კომპოზიცია, რომელიც გამოფენას ამშვენებს. ამ ნაწარმოების თემაა დიდი სტალინი და მისი თანამებრძოლები. სტალინი ავალებს ლადო კეცხოველს ბაქოში არალეგალური სტამბის მოწყობას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწარმოები ჯერ დამთავრებული არ არის იგი მაინც იმდენად საყურადღებოა (კომპოზიციურად საინტერესო, მხატვრულად დამაჯერებელი), რომ სავსებით გამართლებულია მისი გამოტანა გამოფენაზე. დ. წერეთლის შემოქმედებაში ეს ისეთი საგულისხმო მომენტია, ურომლისოდაც მისი, როგორც მხატვრის, პროფილის დასრულებულად წარმოდგენა ძნელი იქნებოდა.



ლადო კეცხოველის ძეგლი თბილისში.
ნახ. გ. ისაევის.

ლადო ავალიანი

# მანუჩარ უბისელი*

I

ჩვენი დედაქალაქის ის უბანი, სადაც მანუჩარ უბისელი ამ ათიოდე წლის წინ დასახლდა, გასული საუკუნის პირველ ნახევრამდე ტყით ყოფილა დაფარული. მაგრამ ერთ ყაჩაღს, რომელიც ამ ტყეში იმალებოდა, ისე შეუწუხებია პოლიცია, რომ მის ასალაგმავად ტყე პირწმინდად გაუკაფავთ. შემდეგ იქაურობა ქალაქის ბურჟუაზიას მოსწონებია და ბაროკოს სტილის რამდენიმე ლამაზი შენობა აუგია. ამ შენობებს მალე გვერდში ამოსდგომიან აგურის, მეტწილად კრამიტით გადახურული სახლები.

ის სახლი-კი, სადაც მანუჩარი ცხოვრობს, ცოტა უფრო მოგვიანებით უნდა იყოს აგებული. იგი ქუჩის ბოლოში განმარტოვებით დგას და მთელ უბანს ზემოდან დაჰყურებს. სახლის წინ დიდი ეზოა გაშლილი, ქუჩიდან ერთი ადლით ამაღლებული და აქა-იქ დარღვეული გალავნით შემოზღუდული. ეზოში ბავშვებისაგან ტოტებ-ჩამოხლეჩილ ხეებსა და გალავანს შორის თავშესაფარი ხვრელებია გათხრილი. სახლის ფასადის სიგრძეზე თეატრის იარუსებივით აივნებია გაჭიმული. მეორე და მესამე სართულზე აივნის ბოძები ყვავილებისა და თიხის ქილაში დათესილ ლობიოს შეფოთლილ ღეროებს დაუფარავთ. ამ შენობას გვერდიდან და ზურგიდან უფრო ეტყობა მოძველება. კედლებზე მხოლოდ აქაიქ შერჩენია ნალესი. წვიმის წყლის სადენი ღარების გასწვრივ კედელი დანოტიოვებულა, სადირკველთან კი აგურის ნალესთან ერთად ალიზიც გამოსცლია და ნაპირები ჩამოფშვნია.

ამ დრომოჭმული შენობის ბორძიკი, ალბათ, დიდხანს აღარ გაგრძელდება. შეიძლება ამიტომაც დიდის გულმოდგინებით აღბეჭდა შარშან მანუჩარმა პატარა ზომის ორ ტილოზე მისი ქიმერული გარეგნობა, აბრეშუმისა და ბდღიალა ჩითის საბნებით, კედლის მსუბუქი ნოხებით, ტანსაცმელით და თეთრეულით აჭრელებული აივნები, ნალეს-ჩამოცვენილი, დაბზარულ-დანოტიოვებული კედლები, კედლებში დატანებული ვიწრო სარკმლები და სულ მაღლა, ზოგგან ძველებური კრამიტით, ზოგგან თუნუქით გადახურულ ჭერში გამომწყვდეული მანსარდი.

II

თითქო უნდა შედედდესო, ისე საკვირველად ლივლივებდა სხვა დროს თვალისთვის უჩინარი ჰაერი. შენობების მზეზე მოფიცხებულ კედლებს და ჟანგისფრად შეღებილ თუნუქის სახურავებს ალმური ასდიოდათ. კარგად მოზელილ თიხასავით დარბილებულ ასფალტს ცხენის ნალების და საბარგო ავტოს ბორბლების კვალი აჩნდა.

სიცხისაგან მოთენთილი უბისელი ზანტად მიაბიჯებდა შუა ქუჩაში.

III

ავტოს საყვირის ხმაზე შეკრთალმა მანუჩარმა უსიამოვნოდ მოჭმუხნა წარბები, მოახლოვებულ მანქანას აუჩქარებლად დაუთმო გზა და იქვე, ბულვარის ნაპირას, ფოთლებგამტვერიანებული ხის ჩრდილში შეისვენა. მსუბუქად გაისრიალა შინდისფერმა „ზის“-მა, რომლის კრიალა ფრთებზე, რადიატორის მოსარკულ სახურავზე ელვის სისწრაფით ისახებოდა შენობებისა და ხეების მრუდე გამოსახულება. ქუჩაში დამდგარ მტვერს მანუჩარმა თავი მოარიდა და გზა განაგრძო; მერე მოასფალტებულიდან ქვით მოკირწყლულ ვიწრო ქუჩისაკენ აუხვია და ოღრო-ჩოღრო ბულვარის ნაპირს გაჰყვა. განსაკუთრებით უყვარდა მას აქაურობა. მყუდროების მოყვარულ და მხატვრობით გატაცებულ ადამიანისათვის, უბისელის აზრით უკეთეს უბანს თბილისის „ქვაბში“ ვერსად მოძებნიდი.

დინჯად მიმავალ, ფიქრებში გართულ მანუჩარს არც-კი შეუმჩნევია, რომ თავის სახლს მიუახლოვდა.

IV

მანუჩარმა ეზო გაიარა და სპირალურ კიბეს მიაშურა, მაგრამ თავისი სახელის ყაყონებაზე შედგა, ზემოთ აიხედა: მეორე სართულის აივანზე გადმოყუდებულ ქალს თავაზიანად მიესალმა.

— თამარის რა გაიგე? — ჰკითხა ქალმა.

— ახალი არაფერი... ჯერ ისიც არ წომინელებია, რაც გუშინწინ შემატყობინეს...

— რაო?

— მტრის „ზურგში“ გადასხმულ დესანტს ჰხლებია... — მანუჩარმა სიტყვა ველარ დაასრულა, ცალი მხარი შეატოკა და გაოცებით მიაშტერდა ელენეს.

ელენესთვისაც იმდენად მოულოდნელი იყო ეს ცნობა, რომ ფერი ეცვალა, ხმა ვეღარ ამოიღო. წუთიერი დუმილის შემდეგ საყვედურით შენიშნა მანუჩარს:

— რასაც გაიგებ, ყველაფერი ხომ მართალი არ იქნება!

მანუჩარმა მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა. ეტყობოდა, რომ სახეზე აღბეჭდილი ღიმილი მარტო მის მოჩვენებითს გულგრილობას არ გამოხატავდა.

— სანუგეშებელი ჯერ არაფერი მჭირს, ქალბატონო ელენე!

—ღმერთმა ნუ... — ელენემაც გაუცინა, თითქო შურით შენიშნა, — შეს ქალს გადაუწყვეტია, რომ... გასახელოს.

— ეგრე გამოდის,—ღიმილითვე, რომელშიაც იგრძნობოდა კმაყოფილება და სიამაყე, მიუგო მანუჩარმა.

V

ეზოში უცხო კაცი შევიდა. სამხედრო ფორმა ეცვა, დაჭმუჭვნილი. ეტყობოდა ნამგზავრი იყო. მზეში დამწვარ სახეზე მსხვილ, მოგრძო წარბებს ჩალისფერი გადაჰკროდა. წარბებს ქვემოთ დიდრონი თვალები მეუპოვრად ელავდნენ. უცნობი მანუჩარის შორიახლო შედგა, ბეჭები ლაღად გასჭიმა, ჯერ მხედრულად მიესალმა, შემდეგ რიხიანად ჰკითხა:

— მანუჩარ უბისელი რომელ სართულზე ცხოვრობს?

თანაც შეხედა თუ არა მანუჩარს, ინსტიქტიურად იგრძნო დასახელებულ პირის სიახლოვე, და გაბრწყინებული თვალები მიანათა.

როგორც კი მანუჩარმა მიუგო, მე გახლავარ უბისელიო, უცნობმა მყის გაუცინა, მოულოდნელად ეცა, მძლავრი მკლავები ბეჭებზე მოჰხვია და გადაჰკოცნა. განცვიფრებულ და შებოჭილ მანუჩარს ველარც ხმის ამოღება მოეხერხებინა, ველარც გაძალიანება.

ელენეც გაოცებით და თანაც აღტაცებით შესცქეროდა მათ.

სანამ კოცნით არ იჯერა გული, მანამდე არ მოეშვა მანუჩარს უცნობი სამხედრო.

— დაგინახეთ თუ არა, უმალვე ვიფიქრე, რომ თქვენ თამარის მამა იქნებოდით.

— მაშ თქვენ... თამარს იცნობთ? თამარმა გთხოვათ, გენახეთ?.. მობრძანდით შინ, ყველაფერი დაწვრილებით მიამბეთ, საიდან, როგორ?

მანუჩარს ეგონა, რომ სტუმარი უმალვე დათანხმდებოდა, მაგრამ ის ადგილიდან არ დაძრულა.

— ვიცნობ?! — გაიკვირვა და თითქო იწყინა კიდეც. ჩალისფერი მარცხენა წარბი უცებ აზიდა, რკალივით მოდრიკა და ცალი თვალით შეხედა მანუჩარს, — რომ იცოდეთ, რაა ჩემთვის თამარი!

მანუჩარმა ხელმეორედ მიიპატიჟა შინ სტუმარი, მკლავშიაც გამოსდო ხელი, მაგრამ ვერც ახლა დასძრა ადგილიდან, ისეთი ახოვანი იყო, რომ მანუჩარიც-კი მის გვერდით მეტად ნაზ და სუსტ არსებად მოგეჩვენებოდათ. სტუმარმა მაჯის საათს დახედა, მერე ტანსაცმელი შეისწორა და ნაღვლიანის ხმით შენიშნა

— სხვა დროს, სხვა დროს ძვირფასო მანუჩარ, — ისევ მოჰხვია მკლავები, ოდნავ შეანჯღრია, — ნეტავ, ოდესმე ისეთი ბედნიერი მამა გავხდე, როგორც თქვენა ბრძანდებით: თქვენი შვილის წყალობით მთელი ჩვენი დივიზია გიცნობთ...

სტუმარმა ხელი უშვა მანუჩარს, განზე დადგა და ისევ დახედა საათს.

— დიახ, მთელი ჩვენი დივიზია...

— ა, — გაოცდა, თანაც უსაზღვროდ გაეხარდა მანუჩარს, — მაინც რითი ვარ ბედნიერი?

— იმით, რომ... ისეთი, მარგალიტივით ქალიშვილი გაგიზრდიათ... ფუქსავატი ადამიანი მარტო... ლხინში ვარგა, ისეთი კეთილშობილი-კი, როგორიც თქვენი თამარია, ლხინშიაც და ჭირშიაც.

მანუჩარმა ერთხელ კიდევ გაიღიმა იდუმალი კმაყოფილებით.

— კი, მაგრამ... რასა ჰგავს ესა, რამდენიმე წუთით მაინც გვეწვიეთ შინ, კარგად გავიცნოთ ერთმანეთი, ვინა ბრძანდებით... რით და როგორ დაიმსახურა თამარმა პატივისცემა, აღტაცება და... — უნდოდა ეთქვა, სიყვარულიო, მაგრამ თავი შეიკავა.

— იქნებ არ დაიჯეროთ, მაგრამ მე მხოლოდ... თქვენი დანახვა მსურდა, მეტი არაფერი... ახლა-კი მეჩქარება, ძალიან მეჩქარება... შეიძლება ისევ გნახოთ... შეიძლება. რა დრო იქნება ის დრო! ყოველ შემთხვევისათვის ჩემი გვარი იცოდეთ: გაიდაბურია, და ხელი გაუწოდა.

მანუჩარმაც შეაგება ძალაუნებურად თავისი ხელი, მაგრა ჩასჭიდა, შეაჩერა, ერთხელ კიდევ უსაყვედურა:

— რატომ არ გინდათ შინ შემოხვიდეთ, რამდენიმე წუთით? რატომ არაფერს არ მეუბნებით.. თამარის შესახებ?

— თამარის? მეტი რაღა გითხრათ... ჩვენი დივიზიის მარგალიტია!

გაიდაბურამ იგრძნო, რომ ცრემლები მოაწვა თვალებზე. მანუჩარს რომ არ შეენიშნა, მოეხვია, გადაჰკოცნა და კვლავ გამოეჭიმა მხედრულად, შემდეგ სწრაფად შეტრიალდა და გასასვლელისაკენ გაეშურა.

გაშტერებულ მანუჩარს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ხმა თითქო ჩაუწყდაო, პირს უხმოდ აღებდა, თანაც მალიმალ ყლაპავდა ნერწყვს. უცებ თავბრუ დაესხა, მუხლები უცახცახებდა, ერთხელ-კი მოაფათურა ორგვლივ ხელები და მოსხლეტით ჩამოჯდა კიბის საფეხურზე.

VI

როგორც-კი გაიდაბურა ეზოდან გავიდა, მან ღრმად და შვებით ამოიოხრა, თითქო აქამდე სუნთქვას უშლიდა ყელში ბოლომდე მოწოლილი სათქმელი.

ახლა ჩქარი ნაბიჯით მიჰქროდა გაიდაბურა და თანაც ქუჩის ორივე მხარეს გაფაციცებით აკვირდებოდა...

შენიშნა თუ არა მოასფალტებულ ქუჩის ბოლოს საფოსტო ყუთი, უმალვე მიირბინა, საველე ჩანთიდან ფანქარი და სუფთა ფურცელი ამოიღო, აჩქარებით დასწერა ბარათი, დაკეცა, მსხვილი ასოებით, უფრო გარკვევით მისამართი დააწერა და ყუთში ჩაუშვა, თანაც ისე გააყოლა თვალი, თითქო გულიც ჩაატანაო. შემდეგ ნაღვლიანად მიიხედა უკან, გადადგა ფეხი, ისევ მიიხედა და ჩქარი მხედრული ნაბიჯით განაგრძო გზა.

VII

გონს მოსული მანუჩარი დარცხვენილი ადგა, ჯოხი მხარზე გაიდო და მძიმე ნაბიჯით კიბეს შეუყვა. სახლი უჩვეულო მყუდროებას მოეცვა, აივნებზედაც არავინ ჩანდა.

სანამ ცოლი გაეხუტებოდა, მანუჩარი მეორე სართულზე ცხოვრობდა, მერე კი მანსარდში დაიდო ბინა. მანსარდი მანამდე სახელოსნოს მაგივრობას უწევდა.

ხანდახან დაავიწყდებოდა, რომ ცოლთან გაბუტული იყო და თავის ბინას მიადგებოდა, მაგრამ უმალვე გონს მოდიოდა და უკან გაბრუნებული უფრო ჩქარი ნაბიჯით განაგრძობდა გზას ზევითკენ, მანსარდისაკენ, თანაც მალულად აქეთ-იქით იცქირებოდა, ცნობისმოყვარე მეზობლები ხომ არ მითვალთვალებენო.

VIII

მანუჩარმა მანსარდის კარი გააღო.

ფანჯრის რაფაზე ეყარა ტუშის ფანქრები, სანგვინები, ნახშირის ღერები. ზეთიან შუშის ქილაში ეწყო ნახმარი ფუნჯები. იქვე იდო ფერებით დალაქავებული ტომები: „ხელოვნების ოსტატები ხელოვნების შესახებ“, „ფერწერის ტექნიკა“ და ფლობერის „წერილები“.

კედლებზე შედარებით მეტი წესრიგი სუფევდა. ფანჯრიდან მარცხნივ კედელი შეღებილი იყო წებონარევ მუქ-ყავისფერი საღებავით, მარჯვნივ კედელს „ამკობდა“ ძველის-ძველი, გახუნებული ლურჯი შპალერი, რომელიც აჭრელებული იყო ნალურსმნებით.

მუქ-ყავისფრად შეღებილ კედელზე ორ მწკრივად ეკიდა შუშიან ჩარჩოში ჩასმული რეპროდუქციები. ლურჯ-შპალერიანი კედელიკი დაფარული იყო მანუჩარის ორიგინალური ნამუშევრებით: თბილისის როგორც ძველ, ისე ახალ უბნებში დაწერილი ეტიუდებით, თბილისის მოქალაქეთა და ნაცნობ-მეგობართა პორტრეტებით, ქალების შიშველი ფიგურებით, ფანქრით და ნახშირით შესრულებულ ესკიზებით.

ეს ესკიზები, პორტრეტები და ეტიუდები გარს ეხვია ორ დიდ ტილოს: „ერეკლე მეფის კვეთებას“ და „დაჭრილ პარტიზანს“. დაჭრილ პარტიზანის სიუჟეტად მანუჩარმა გამოიყენა თამარის მიერ მოწერილი ნამდვილი ამბავი. როცა მანუჩარი ამ ტილოებს შესცქეროდა, გული სიამით უძგეროდა.

„ერეკლე მეფის კვეთება“ და „დაჭრილი პარტიზანი“ შარშან გამოფენაზე წაიღო და სანამ უკან მოიტანდა, დარდმა, შიშმა და ყოველწუთს მათი ცქერის სურვილმა დაადნო. მარტო მაშინ იგრძნო რარიგ ჰყვარებია თავისი ქმნილებები და ეს გრძნობა შეადარა იმ დედის სიყვარულს, რომელსაც თავისი „მახინჯი“ შვილი სხვის ლამაზს ურჩევნია.

IX

მაშინ, გამოფენაზე ორივე ტილომ მანუჩარს სახელი გაუთქვა. ადრე მას იცნობდნენ, როგორც ორიგინალური კომპოზიციის შექმნის უნარ-მოკლებულ მხატვარს, ძველი თბილისის უბნებში დოკუმენტალურ სიზუსტით შესრულებული რამდენიმე კარგი ეტიუდის ავტორს. „ერეკლე მეფის კვეთებამ“ გამოფენაზე შემთხვევით მოხვედრილ კახელ კოლმეურნის ქაიხოსრო მურაკამშვილის ყურადღებაც მიიქცია. რაკი მხატვრობის მცოდნე მეგობრებმა ძალიან უქეს სურათი, ქაიხოსრომ გადასწყვიტა შეეძინა იგი და მეორე ისეთივე სურათი შეეკვეთა ავტორისათვის. როცა მანუჩარმა მისი განზრახვა შეიტყო, თავი ვერ შეიკავა, გაეცინა. მაგრამ მისი სიცილი ქაიხოსრომ სიხარულს მიაწერა და წასვლის წინ ერთხელ კიდევ გაუმეორა — აქ ათი დღე ვრჩები, ეცადე მეორეც მომისწრო, ერთად წავიღებ. ერთი ჩემთვის მინდა, მეორე საბჭოს თავმჯდომარეს უნდა ვუფეშქეშოო, როცა მეგობრებმა უჩურჩულეს: ეს სურათი თორმეტი ათასი მაინც დაგიჯდებაო, ქაიხოსრომ ხელი ჩაიქნია და გულგრილად შენიშნა — თხუთმეტი ათასი იყოსო.

X

ერთი თვის შემდეგ მანუჩარმა დეპეშა მიიღო: „მხატვარს მანუჩარ უბისელს. როგორც იცით, ჩვენ გვსურს შევიძინოთ თქვენი სურათი „მეფე ერეკლეს კვეთება“, რომელიც შეფასდა თხუთმეტათასად. გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი გადაწყვეტილება. ქაიხოსრო“.

მართალია, ყველაფერი გასაგები იყო, მაგრამ დეპეშა მაინც რამდენჯერმე გადაიკითხა უბისელმა. გაოცება მის სახეზე ღიმილმა შესცვალა. ის იყო უნდა [illegible], გადაეგდო, მაგრამ გადაიფიქრა, თავმომწონეობამ შეაჩერა. დეპეშა დაკეცა და წიგნში ჩადო. „არაფერს არ ვუპასუხებ, — გაიფიქრა თავისთვის, — ალბათ, მიხვდებიან, რომ დუმილი ყოველთვის არ ნიშნავს თანხმობას. საოცარია, ნეტავ რამ აფიქრებინა, რამ დაარწმუნა, რომ მე ამ სურათს დავთმობდი?“.

---

*) ნაწყვეტი მოთხრობიდან.

(„ლიტ. და ხელოვ.“ მე-2 გვ.)

# სახელოვანი იუბილარი

[illegible]

## შალვა დადიანის საიუბილეო სალამი

[illegible]

## ქართული სცენის მომამაგე

შალვა დამბაშიძე

რესპუბლიკის სახალხო არტისტი

[illegible]

## „გიორგი რუსი“

[illegible]



შალვა დადიანი.

დაბადებიდან 70 წლისთავის და საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავის შესრულების გამო.

# შალვა დადიანი და რუსთაველის თეატრი

აკაკი ვასაძე

სსრ კავშირის სახალხო არტისტი

შალვა დადიანმა ღრმა კვალი დააჩნია ქართული დრამატიული მწერლობისა და თეატრის განვითარებას. ჩვენ ამ მოკლე წერილში შევეხებით მის შემოქმედებითს მუშაობას რუსთაველის თეატრში. დრამატურგის მოღვაწეობის ეს პერიოდი, ჩვენი აზრით, სამ ეტაპს შეიცავს: პირველი—მომწიფებული და გამოცდილი ოსტატი საბჭოთა თეატრისა და დრამატურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელია, მეორე—ის ორიგინალური საბჭოთა დრამატურგიის ტრაგედიული ჟანრის ფორმების ძიებაშია და მესამე—იგი ისტორიულ-პორტრეტული, დიდი სოციალური მნიშვნელობის მქონე ტილოს პირველი შემოქმედია. კადნიერება არ იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ შ. დადიანი საბჭოთა დრამატურგიის პოლიტიკურ მხატვრულ ქრონიკის ერთ-ერთი საინტერესო შემოქმედია.

შ. დადიანის „შენი ჭირიმე“, „გეგეჭკორი“, „ვარამი“, „როს ნადიმობდნენ“ და სხვა დიდ და პატარა პიესებს სცენაზე წინ უძღვის კარგად ცნობილი „გუშინდელნი“. ამ კომედიას, სადაც კი ის მინახავს დადგმული და ვისგანაც კი ყოფილა შესრულებული, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ან შემდეგ, არასოდეს არსად მარცხი არ განუცდია. ამ კომედიას არა ერთი და ორი ახალი ძალა აღმოუჩენია მშობლიური სცენისათვის.

ამ პიესის ასეთი საოცარი ძლიერების საიდუმლოება იმით აიხსნება, რომ შ. დადიანმა ჩვენი კლასიკოსებისაგან იმთავითვე შეითვისა ჭეშმარიტებისა და სიმართლის სრულყოფილად გამოხატვის ტრადიცია და გაამდიდრა იგი თანამედროვე დრამატურგიის ტექნიკის გამოყენებით. ამიტომაცაა, რომ ამ კომედიაში სინამდვილით და სიმართლით არიან ხორცშესხმული მხატვრული სახეები საზოგადოების ყოველი ფენიდან. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით რომ პიესა „გუშინდელნი“ სარკეა ჩვენი საზოგადოებრივი ვითარებისა, იმ ვითარებისა, რომელიც შეიქმნა 1905 წ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ და გაგრძელდა თებერვლის რევოლუციამდე.

ჯერ კიდევ 1920 წელს თბილისში დადგმულმა „გუშინდელნმა“ მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობებზე (კაჩალოვი, კნიპერ-ჩეხოვა, თარხანოვი, გერმანოვა, მასალიტინოვა და სხვანი) ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. ისინი აღტაცებულნი იყვნენ როგორც პიესით, ისე შემსრულებლებით: „რა შესანიშნავად სცხოვრობენ სცენაზე ქართველი მსახიობები“.

შალვა დადიანი, როგორც დრამატურგი განსაკუთრებით საინტერესოა იმ მნიშვნელოვანი წარმატებით, რაც მან მოიპოვა საბჭოთა დრამატურგიის ტრაგედიული და კომედიური ჟანრის სფეროში. მართალია მისი „თეთნულდი“ (რუსთაველის სახელობის თეატრში) და კომედია „კაკალგულში“ (განხორციელებული კ. მარჯანიშვილის მიერ თავის თეატრში) არ იძლეოდა თანამედროვე ტრაგედიის ან კომედიის პრობლემის სრულყოფილ და ამომწურავ გადაჭრას, მაგრამ ეს ხომ პრინციპიალურად სრულიად ახალი ცდა იყო, რასაც გვერდს ვერ აუვლის საბჭოთა დრამატურგიისა და თეატრის ისტორია.

„თეთნულდში“ შალვა დადიანმა ხალხური ტრაგედიის შესაქმნელად ძველი ბერძნული ტრაგედიის ფორმები გამოიყენა და დაუვიწყარი სცენები (ბაპები, ყეენობა) და სახეები (არგიშდი, ლაპილი, გურანდა) შექმნა. ჩემის აზრით, იმის გამო რომ ავტორი ბოლომდე არ მიჰყვა ტრაგედიის ფორმას და მან ჩვეულებრივად გამოხატა ახალგაზრდობის სახეები, ჩვეულებრივ დრამატიულ სიტუაციებში მოაქცია ისინი, ამიტომ მათ წააგეს ძველთან ბრძოლაში ფორმითაც და შინაარსითაც.

მიუხედავად ასეთი მარცხისა „თეთნულდმა“ რუსთაველის თეატრის შემოქმედებაში საეტაპო როლი ითამაშა. „თეთნულდზე“ მუშაობის გამოცდილებამ თეატრს შესაძლებლობა მისცა განეხორციელებინა შილერის „ყაჩაღები“, რაც მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილია, როგორც საბჭოთა თეატრის ახალი და ორიგინალური მიღწევა კლასიკური დრამატურგიის ათვისების საქმეში.

ცნობილია, რომ ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** ისტორიული ნაშრომი „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ შთამაგონებელი შეიქნა მხატვრული ლიტერატურისა და ჩვენი ხელოვნების ყოველი დარგის განვითარებისათვის.

როგორც მოწინავე და ნაცადმა დრამატურგმა შალვა დადიანმა ამ შემთხვევაშიაც თავი ისახელა პიესით „ნაპერწკლიდან“, სადაც ისტორიული სინამდვილის სწორად გაგება და მხატვრული სიმართლით გამოხატვა იშვიათი ოსტატობით არის განხორციელებული. ამ პიესამ, ამ სპექტაკლმა დიდი აღმზრდელობითი როლი ითამაშა, რამდენადაც იგი მშრომელთა ფართო მასებს მხატვრულ ფორმებში აცნობს რევოლუციის წარსულის ღირსშესანიშნავ მომენტებს.

ამით როდი ამოიწურება ამ პიესის მნიშვნელობა. „ნაპერწკლიდან“ უაღრესად პრინციპიალური მხატვრული მოვლენაა, რამაც გარკვეული მოთხოვნილება დააყენა საბჭოთა სასცენო ხელოვნების წინაშე თანამედროვე გმირის განსახიერების საქმეში. ამ პიესით სცენაზე უნდა წარმოგვედგინა ბელადთა პორტრეტები. რუსთაველის სახელობის თეატრის შემოქმედებითი განვითარებაში პიესას „ნაპერწკლიდან“ დიდი როლი აქვს შესრულებული და ამ ნაწარმოებს კვლავაც არა ერთხელ მივმართავთ როგორც უაღრესად აქტუალურს, უაღრესად თანამედროვეს.

* * *

დაბადებიდან სამოცდაათი წლისთავი... ლიტერატურული მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავი.—რა დიდიხანი გასულა! და ჯერ კიდევ ჩვენი შალვა, მხნეთ, დაუღალავად „ძილფხიზლობს“ მშობლიური ლიტერატურის კერაზე.. მისი ახალი პიესის თემაა საბჭოთა ადამიანები სამამულო ომში... დიდი თემაა, და მწერალიც გამოცდილებითა და გულით სწერს...

მაშ მობრძანდით ძვირფასო შალვა, ჩვენი გულიც და ჩვენი სცენის კარებიც თქვენთვის მუდამ ღია გვაქვს! დღეს თქვენი დაბადებიდან 70 და ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავი ვიზეიმოთ, ვიდღესასწაულოდ და ხვალ შენის მადლიანი კალამით ჩვენო ბერო ჭაბუკო გაგვახარე, რომ შეგვქმნათ სპექტაკლი,—აღსავსე სამშობლოს, დიდი **სტალინის**, საბჭოთა ხალხის სიყვარულით და მტერზე გამარჯვების მტკიცე რწმენით.

# ქართული სიტყვის ოსტატი

შალვა აფხაიძე

[illegible] ...ვა დადიანი გულისხმიერად ემსახურებოდა და ემსახურება ხალხს, როგორც მშვენიერი ოსტატი პროზისა, როგორც დრამატურგი, არტისტი, რეჟისორი, ინიციატორი და ხელმძღვანელი სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, მისი ცხოვრება და შემოქმედება მძლავრი და მრავალფეროვანია, ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც მას ერთი გმირი ჰყავდა და ჰყავს, ეს არის ხალხი. ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც მას ერთი თვისება ახასიათებდა და ახასიათებს. ეს არის სისადავე, როგორც ადამიანებთან ურთიერთობაში, ისე წერის მანერის მხრივ.

შალვა დადიანის ბიოგრაფიაში მრავალი ნათელი ფურცელია. ერთი მათგანი სიმშვიდით გადმოგვცემს მის დამსახურებაზე სასცენო ხელოვნების დარგში. ჩვენი თეატრის [illegible]

[illegible] იყო. იგი ცხოვრების სიმართლესა და ჭეშმარიტებას ეძებდა ყოველთვის და ამ უკანასკნელთ მხოლოდ ხალხში, მის წიაღში პოულობდა. „არა! ახლა მე ვიცი, სად არის ეს ჭეშმარიტება,—იგი ხალხშია, ჩაგრულთა შორის“,—ათქმევინებს იგი ერთ-ერთ გმირს პირველსავე პიესაში „მღვიმეში“ და ეს მისი, ავტორის გულის პასუხია.

ბოლომდე შერჩა მას ეს ნათელი რწმენა, რწმენა იმისა, რომ ხალხია სამართლიანი და გულმართალი. რევოლუციამდე ხალხის დუხჭირ ცხოვრებაზე, უფლებააყრილობაზე სწერდა ეს დაჯერებული ჰუმანისტი ყველა თავის პიესაში და იქვე მიგვითითებდა იმ იარაღზე, რომლის საშუალებითაც ხალხს შეუძლიან დააღწიოს თავი უმწეო მდგომარეობას. ეს იარაღია ბრძოლა. „მღვიმეში“, „როს ნადიმობდნენ“, „შენი ჭირიმე“, „გეგეჭკორი“, „ვარამი“, „გუშინდელნი“, „ჩატეხილი ხიდი“, „ნინოშვილის გურია“ და მრავალი სხვა პიესა მღელვარებით გადმოგვცემენ ძველ სოციალურ გარემოს, საზოგადოებრივი ძალების განლაგებას და მათს დაუნდობელ ჭიდილს. და ავტორს არსად არ ღალატობს სალი საზოგადოებრივი ტაქტი, ალღო: მას უყვარს ადამიანი. ამიტომ იგრძნობა მის ნაწარმოებში კეთილი [illegible]

[illegible] დროს და მას თარგმანს ანდომებდა ერთად-ერთი მიზნით—შეექმნა მშობლიური თეატრისთვის მდიდარი, მრავალსახოვანი რეპერტუარი. სთარგმნა შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, „ჭირვეული ცოლის მორჯულება“, ბაირონის „სარდანაპალი“ და „მანფრედი“, ჰაუპტმანის „ჰანელე“, შილერის „მარია სტუარტი“, ანდრეევის „გაუდეამუსი“ და სხვა. ჩამოთვლილი პიესები განსაზღვრავენ მთარგმნელის მეორე მიზანდასახულობას: ეს იყო თავისი ფართო აუდიტორიის მხატვრული გემოვნების აღზრდა, დახვეწა.

მეოთხე ნათელი ფურცელი იუბილარის ბიოგრაფიისა მის მდიდარ, ნამდვილი ოსტატის ხელით შექმნილ პროზაზე მოგვითხრობს. ახალი ნოველის, მინიატურის პიონერად ქართულ პროზაში შეიძლება შალვა დადიანი ჩაითვალოს. მისმა დაუშრეტელმა შემოქმედებითმა ენერგიამ მრავალ ნოველასა, მოთხრობასა, რომანსა, პუბლიცისტურ და კრიტიკულ სტატიაში ჰპოვა გამოსავალი. ამ ჟანრის ნაწარმოებთაგან უნდა აღინიშნოს „გიორგი რუსი“, „ანდერძი“ და მრავალი მინიატურა. ყველა ამ ნაწარმოებში ავტორი რეალისტურ მსოფლმხედველობის პოზიციაზე დგას. იგი იცავს ქართული ლიტერატურის იმ ხაზს, რომელიც კლასიკური ლიტერატურის დიდმა წარმომადგენლებმა გამოიმუშავეს. ამ ნაწარმოებებში მოცემულია საზოგადოებრივი განვითარების მთავარი ტენდენცია. ყველა მათგანში მტკივნეული საკითხებია წამოყენებული და ყველგან დიდი ჰუმანისტის ენა მეტყველებს. „წმინდა ცრემლებით“ დაიწყო ავტორმა თავისი მწერლობა 1894 წელს და მას შემდეგ მრავალი მინიატურა და მოთხრობა შექმნა. ეს უკანასკნელნი გამოირჩევიან ნატიფი ენით, ერთგვარი ნერვიული და ექსპრესიული სტილით, რიტმიულობით. ხედვა-კი ყველგან რეალისტურია. შინაარსი — [illegible] ისეთ სოციალურ რომანზე, როგორიც „ურდუმია“.

ავტორი თავის ნოველების ასეთს დახასიათებას იძლევა: „ვფიქრობ, ყველა მათგანს (ნოველას) აქვს უფლება იცხოვროს“. ისინი თავის დროზე მოუწოდებდნენ ხალხს შრომისაკენ, გამოხატავდნენ ავტორისა და ეპოქის პროგრესულ-დემოკრატულ შეხედულებებს და, ცხადია, მომავალშიც განაგრძობენ სუნთქვას.

ამ წერილის მიზანი შალვა დადიანის შემოქმედებითი მიღწევების ანალიზი არ არის. ჩემი მიზანია ამ მიღწევების მხოლოდ მთავარი საფეხურების აღნიშვნა, ისიც გაკვრით და ვშლი იუბილარის მეხუთე ნათელ ფურცელს, რომელიც მის მრავალმხრივ პრაქტიკულ მოღვაწეობაზე მოგვითხრობს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ხალხის საზოგადოებრივმა ცხოვრებამ, მეტადრე ჩვენი საუკუნის მანძილზე, არ იცის არც ერთი წამოწყება, რომ მასში შალვა დადიანს თავისი წვლილი არ შეეტანოს, ასე თუ ისე მონაწილეობა არ მიეღოს, და ყოველ მის პრაქტიკულ საქმიანობაში თავს იჩენს იგივე ფართო სულიერი დემოკრატიზმი, რაღაც ინტიმიური მიდგომა ხალხის ფენებისადმი.

რომ არაფერი ვთქვათ მრავალ სხვა ნათელ ფურცელზე,—იუბილარის მუდამ ახალგაზრდულ სულიერ განწყობილებაზე, დაუდგრომლობაზე, ოპტიმიზმზე, შეუნელებელ შემოქმედებითს აქტიობაზე, მინდა შევჩერდე ერთს ყველაზე უფრო ბრწყინვალე ფურცელზე მის ბიოგრაფიაში. ეს არის მისი დაუცხრომელი პატრიოტიზმი, მისი შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობა თავისუფალ საქართველოს პირობებში, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში.

„მხოლოდ შენ ერთს, რაც რომ ჩემთვის მოუცია მაღლიდან ღმერთს,“—ასე დაიმღერა იუბილარმა წარსულში ერთად-ერთ ლექსში და ეს სიმღერა მთელს საქართველოს მოედვა. ჭეშმარიტად, რაც კი მიიღო ავტორმა ბუნებისაგან, ხალხისაგან, ყველაფერი თავის ქვეყანას შესწირა, თავის ხალხსავე დაუბრუნა. მას წილად ხვდა დიდი უპირატესობა იყოს ამ ხალხის ბედნიერების მშენებლობის ერთ-ერთი მონაწილე. არსად არა გრძნობს იგი თავს ისე თავისუფლად, ისე თამამად, ისე მხიარულად, როგორც ხალხის წიაღში, ამით აიხსნება, ალბათ, ის, რომ შალვა დადიანის შემოქმედებითი ენერგიის ძალამ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გაცილებით უფრო იმატა, მისმა მხატვრულმა სიტყვამ მეტი მიზიდულობა მიიღო. უკანასკნელი წლების მანძილზე მან შექმნა მთელი რიგი ღირსშესანიშნავი ნაწარმოებები, რომლებიც ქართულ მხატვრულ ლიტერატურას მეტს გამძლეობას აძლევენ. ამ ნაწარმოებებში ჩვენ გვესმის მოხუცი ჰუმანისტის დიდი გულის ძგერა, ჩვენ ვგრძნობთ დიდს შემოქმედებითს დაძაბულობას და შთაგონების განათებას. საკმარისია დასახელებულ იქნას, სხვაზე რომ არ შევჩერდეთ, მისი დრამა „ნაპერწკლიდან“.

და ერთი ბრწყინვალე ფურცელი კიდევ იუბილარის ბიოგრაფიიდან... ეს არის მისი უსაზღვრო სიყვარული დიდი ბელადისადმი, ჩვენი ბედნიერი ცხოვრების მშენებლის დიდი **სტალინისადმი.** პირველად ხორცსხმული სახე ამ სიყვარულმა ზემოდდასახელებულ პიესა „ნაპერწკალში“ მიიღო. ავტორმა მთელი თავისი მხატვრული შესაძლებლობა მოიმარჯვა იმისათვის, რომ ეჩვენებინა სახე ახალგაზრდა სტალინისა, ნათელი სახე მუშათა მასობრივი რევოლუციური გამოსვლების ორგანიზატორისა. შემდეგში არც ერთს ნაწარმოებში არ მოშორებია ავტორს ეს შთამაგონებელი სახე. ის გატაცებით, თავისი გულის მთელი სიძლიერით სწერს მასზე, ვინაც „განფანტა აზრი მტრის ლაშქრისა უძლეველობის და ამით ყველა განაკვირვა, თვითონ მტერიც კი!“ სამშობლო და სტალინი, ხალხის ბედნიერება და სტალინი, სინათლე და სტალინი, გამარჯვება და სტალინი—სინონიმებია სახელოვან იუბილარისთვის, ისე როგორც მთელი საბჭოთა მწერლობისათვის, მთელი საბჭოთა ხალხისათვის.

იუბილარის ბიოგრაფიის უკანასკნელი ნათელი ფურცელი—ეს მისი მოღვაწეობაა სამამულო ომის პერიოდში. ფაშიზმის ვერაგულმა თავდასხმამ საბჭოთა კავშირზე მთელი ჩვენი მწერლობა შურისძიების წმინდა გრძნობით აღჭურვა. მრავალი მწერალი მებრძოლთა რიგებში ჩადგა, მრავალმა კალამი მოიმარჯვა. შალვა დადიანის მხურვალე გული მეტის პატრიოტობით აენთო. წითელი ჯარის ნაწილებში გამოსვლებითა და მახვილი კალმით ყველგან და ყოველთვის იგი თავისი ქვეყნის, დიდი სამშობლოს, საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე დგას. მის კალამს ეკუთვნის სამამულო ომის მქუხარე წლებში დაწერილი მრავალი მოთხრობა და ნარკვევი, რომელთა შორის თავისი შინაარსით, ნათელი და მკვეთრი სიტყვით არ შეიძლება არ აღინიშნოს „გამარჯვება“. ამ პატარა ნარკვევში გამოხატა მან ჩვენი ხალხის დიდი სულიერი სიმტკიცე, მისი პატრიოტიზმი წარსულში, მისი თავდადებული ბრძოლა მიმდინარე სამამულო ომში, მისი სიყვარული სტალინისადმი.

მტერი რომ კავკასიონის ზღუდეებს მოადგა, უკვე ხანდაზმული, სამოცდაათ წელს მიბჯენილი მწერალი, დღევანდელი იუბილარი ჭაბუკური მხნეობით ხალხის წიაღში იდგა, მას ამხნევებდა, გამარჯვების რწმენას უნერგავდა, საზიზღარ მტერზე შურისძიებისაკენ მოუწოდებდა—სიტყვით, საქმით. ქართველი ხალხის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, მას, რასაც ასეთის გატაცებით შესტრფოდა იუბილარი მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე და ბოლოს საბედნიეროდ შეესწრო კიდეც, იცავდა იგი მღელვარე სიტყვით, მგზნებარე გამოსვლებით.

გულწრფელი და უანგარო სამსხურისთვის, თავდადებული მუშაობისათვის, ნაყოფიერი და მადლიანი შემოქმედებისთვის ჩვენი ხალხი მადლობას უხდის მხცოვან, გულით-კი ჭაბუკ მწერალს და სიყვარულით აღნიშნავს მისი დაბადების 70 წლისთავს.

(„ლიტ. და ხელოვნება“ გვ. მე-ზ).

## ალ. კოსტანოვი
# „კრეჩინსკის ქორწინება"
### გრიბოედოვის სახელობის თეატრში

უკვე 90 წელზე მეტი გავიდა, რაც სუხოვო-კობილინმა „კრეჩინსკის ქორწინება" დასწერა და დღემდე ეს პიესა არა შორდება საბჭოთა კავშირის უდიდესი თეატრების სცენას, დღემდე იგი სარგებლობს იშვიათი წარმატებით.

„კრეჩინსკის ქორწინება" იშვიათი დრამატიული ნაწარმოებია, რომელიც გამოირჩევა დიდი სატირიკული ძალით, სისხლხორცით სავსე სცენიური სახეებით, ცხოვრების სიმართლით, სანიმუშო სიმწყობრით და კომპოზიციის ლაკონიურობით.

უთუოდ კარგად მოიქცა გრიბოედოვის სახელობის თეატრი, როცა გადასწყვიტა ამ პიესის ჩვენება თბილისელი მაყურებლისათვის. მსახიობებმა პიესა შეასრულეს დიდი შემოქმედებითი მღელვარებით, დიდი სიყვარულით და სიზუსტით. ამიტომ სპექტაკლი გამოვიდა მკვეთრი და ცხოველმყოფელი, მწვავე და ამაღელვებელი.

დიდი წარმატება ხვდა მთავარი როლის შემსრულებელს სმირანინს, რომელიც იმავე დროს სპექტაკლის დამდგმელიც არის. კრეჩინსკის სახე ერთ-ერთი მკვეთრი, რთული და საინტერესო სახეა მთელს რუსულ დრამატურგიასა და ლიტერატურაში. სუხოვო-კობილინის დრამატურგიისა და თეატრის დიდი მცოდნის ლ. გროსმანის მოსწრებული განმარტებით, კრეჩინსკი „ბრწყინვალე მამაკაცია, ქალთა გულის მომკვლელი, გულცივი საქმოსანი და ნაწილობრივ ფილოსოფოსი. იგი მიღებული კაცია თავადთა ოჯახებში, ტრიალებს მაღალ წრეებში, ესწრება დოღებს, დადის თეატრებში". მაგრამ ეს კრეჩინსკის მხოლოდ ერთი, გარეგნული მხარეა, ეს ბრწყინვალე გარეგნობა მალავს მის შინაგან გახრწნილ ბუნებას. ნამდვილად კრეჩინსკი ყალთაბანდი ცინიკოსია, რომელიც კრიმინალური დამნაშავის დონემდე მისულა და უხეშ ადამიანად გადაქცეულა ბანქოს მოთამაშე ნაძირალთა წრეში. კრეჩინსკის სახე სმირანინის ერთ-ერთი დიდი მიღწევაა, თუმცა მისი კრეჩინსკი რამდენადმე განსხვავდება დრამატურგის მიერ მოფიქრებულ სახისგან. სმირანინის კრეჩინსკი თავისებური, უეჭველად, ახალი, ფრიად საინტერესო, მხატვრულად და ფსიქოლოგიურად სავსებით გამართლებული და მთლიანი პიროვნებაა. მის კრეჩინსკის გაორება როდი ახასიათებს, ჩვენ თითქმის ვერა ვხედავთ მასში გარეგნულ — „საფასადო" — და შინაგან მხარეს. ელეგანტობა და არტისტულობა სმირანინის კრეჩინსკისა იმდენად ბუნებრივია, რომ თითქმის ვერა ვგრძნობთ, რომ იგი უხეშ ადამიანად გარდაუქმნია ბანქოს მოთამაშე ნაძირალთა წრეს. მაგრამ ამის გამო კრეჩინსკის სახე ოდნავადაც არ არის გაუბრალოებული და „გაკეთილშობილებული", რაც მთავარია, ამის გამო იგი არა ჰკარგავს სატირიკულ სიმახვილეს. ნიჭიერი მსახიობი ამას აღწევს იმით, რომ ამ გმირში იგი ხაზს უსვამს ერთ თვისებას, რომელიც განსაზღვრავს კრეჩინსკის მთელს პიროვნებას, სახელდობრ — მის სულიერ სიცალიერეს, მის მორალურ გადაგვარებას და ზნეობრივ გახრწნას. სმირანინის კრეჩინსკი ბანქოს უხეში მოთამაშე, ყალთაბანდი შულერი როდია, — იგი ამაზე უფრო მაღალი და ნატიფი პიროვნებაა, მაგრამ სწორედ ამის გამო უფრო საშიში და საშინელი: ეს არის კაცი, რომელიც არავითარი უმსგავსოებისა და ვერაგობის წინაშე არ დაიხევს.

სმირანინი წარმოგვიდგენს გადაგვარების გზაზე დამდგარ კრეჩინსკის, რომელიც თავად ვერ ამჩნევს, რომ უკვე სიბერეში შესდგა ფეხი, რომელიც ხედავს თავის გადაგვარებას. აქედანაა მისი გულცივობა, დაღლილობა, „ზიზღსა და მძულვარებასთან შერეული" მისი უმწეო ირონია.

როგორც ცნობილია, ერთ-ერთი დაკარგული ვარიანტით, სუხოვო-კობილინი პიესას ამთავრებდა სხვა ფინალით, რომლის მიხედვითაც კრეჩინსკი თავს იკლავს. სმირანინი ასრულებს სწორედ ისეთი კრეჩინსკის როლს, რომელსაც სხვა გზა, გარდა თვითმკვლელობისა, არ დარჩენია.

სამწუხაროდ, მეორე წამყვანი როლის — რასპლუევის როლის შესრულება არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. ამ მხრივ გრიბოედოვის სახ. თეატრი ვერ ასცდა მარცხს, რომელსაც საერთოდ განიცდიან ამ როლის შემსრულებლები. ჩვეულებრივ რასპლუევის სახის გაგებისა და გახსნის საკითხი ყოველთვის მწვავე დავასა და კამათს იწვევდა. „სასაცილოა თუ საბრალო ეს კაცი?" კრიტიკოსებისა და აქტიორების ერთი ნაწილი მას კომიკურ სახეთ სთვლიდა, ხოლო მეორე, უფრო მცირერიცხოვან, ნაწილს იგი საბრალო ადამიანად მიაჩნდა.

ვიაზემსკის შესრულებით რასპლუევი სასაცილოა, სასაცილოა უბრალოდ. მის მიმართ ვერა ვგრძნობთ ზიზღს, რომელსაც უნდა იწვევდეს კრეჩინსკის ეს განუყრელი მხლებელი. მსახიობი იოლი წინააღმდეგობის გზით წავიდა: იგი მეტის-მეტად გაიტაცა როლის გარეგნულმა მხარემ. და ეს მით უფრო საწყენია, რომ ვიაზემსკის, როგორც მსახიობს, ყოველთვის ახასიათებს ზომიერების გრძნობა და მაღალი კულტურა.

არც მურომსკის როლია წარმატებით განსახიერებული მიუფკეს მიერ. მიუფკეს მურომსკის აკლია შეძლებული მემამულის დარბაისლობა, სიმკაცრე და სამეურნეო ჭკუა იმ ადამიანისა, რომელიც, ნელკინის თქმით, სამ ბოძზე სდგას. მიუფკეს მურომსკი გამოუვიდა მოტკბო, მოთაფლული და ამასთან მოუსვენარი.

მძიმე მდგომარეობაში ვარდება ხოლმე ნელკინის როლის შემსრულებელი. ავტორი ძალიან მცირე მასალას იძლევა იმისთვის, რომ მსახიობმა მისგან შექმნას დადებით პერსონაჟად მოფიქრებული ხასიათი.

კარგი შემსრულებლები შეხვდათ ქალთა პერსონაჟებს. სმირნოვას მიერ განსახიერებული ატუევა უაღრესად მკვეთრი და მახვილი სატირული სახეა. ნიჭიერმა კულტურულმა მსახიობმა სმირნოვამ ტაქტის დიდი გრძნობით, გადაუმლაშებლად და სწორად დახატა კომიკური ფიგურა დედაქალაქში მოხვედრილი ამ პროვინციელი ქალისა, რომელიც გულუბრყვილოდ არის აღტაცებული თავადთა ოჯახებში გამართული ბალ-საღამოებით და დაბრმავებულია კრეჩინსკის ფრანტობით, განსაკუთრებით მისი ფრანგულით, რომელიც ამ ქალს თითქმის არც-კი ესმის.

დიდი უშუალობითა და სიყვარულით ასრულებს ლიდას როლს ახალგაზრდა მსახიობი ქალი კონდრატენკო.

მიუხედავად ცალკეული ნაკლოვანებისა, თეატრმა მაინც შექმნა კარგი სპექტაკლი, რომელსაც ღირსეულად აფასებს მაყურებელი.

## ვასილ ბაიაძე
# „დალატი"
### გორის სახელმწიფო თეატრში

გორის სახელმწიფო თეატრს, რომელსაც რესპუბლიკის სახალხო არტისტი პავლე ფრანგიშვილი ხელმძღვანელობს, ხუთი წლისთავი უსრულდება. შეიძლება ითქვას, რომ ეს თეატრი თავისი კულტურით, თავისი განუწყვეტელი ძიებით რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო თეატრის რეპუტაციას იმსახურებს. დედა-ქალაქის თეატრალური წრეები-კი მოკლებულნი არიან შესაძლებლობას სრული წარმოდგენა იქონიონ ამ მზარდ, მრავალმხრივ საინტერესო თეატრალურ ორგანიზმზე. ის რეცენზიები, რომელნიც სპორადულად გაიელვებენ ხოლმე ცენტრალურ გაზეთებში, ყოველთვის მინიატურულ ხასიათს ატარებენ.

მიმდინარე სეზონში თეატრმა რამდენიმე დადგმა განახორციელა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი და თანაც პრობლემატური „დალატია".

სუმბათაშვილის ამ პიესაში არის როგორც ისტორიული ქრონიკის, ისე ლეგენდის დამახასიათებელი ნიშნები. იგი უპირველეს ყოვლისა ნაციონალური დრამაა, რომელიც თავისი მგზნებარე პატრიოტიზმით აუცილებლად ეხმაურება ჩვენს გმირულ თანამედროვეობას.

„დალატი" დადგა რეჟისორმა პავლე ფრანგიშვილმა. სპექტაკლში რომანტიული ფერებით წარმოგვესახნენ „დალატის" პოპულარული გმირები. ამაღლებული, მოზეიმე განწყობილება არც ერთ დეტალში არ ნელდება. „დალატი" მთლიანი, ჰარმონიული და ამაღელვებელი, ფსიქოლოგიურად მრავალფეროვანი დადგმაა.

დამდგმელის უპირატეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ხალხურობის ტენდენციის გაძლიერება და მოწინააღმდეგე ხასიათების მკვეთრად დაპირისპირება.

დადგმა არ იყო მოკლებული ცალკეულ უხერხულობებს (ბესოს სიმღერის მეტის-მეტი კომიკური გააზრება, მსახიობთა ანსამბლიდან „ამოვარდნის" შემთხვევები და სხვ.), მაგრამ ბოლოსდაბოლოს სპექტაკლი გაიწმინდა და განიტვირთა ამ მანკებისაგან.

ზეინაბის როლის ამსრულებელი რეს. დამს. მსახიობი თამარ აბაშიძე მთელი სისრულით გამოჩნდა სპექტაკლში. ზეინაბის ნებისყოფა ვერ დაუძლევია პირადს ვაებას. ეს არის ზვიადი, დიდბუნებოვანი ქართველი ქალი, რომელიც სულიერი გვემის წუთებშიაც-კი მომხიბლავად ამაყი და ზნეობრივად შეუბღალავია.

ალ. შონიამ სულეიმანის როლში გვიჩვენა ვერაგი მტარვალის, მრისხანე უზურპატორის სახე. მისი ბაგე ღიმილისთვის არ იპობა, მისი თვალები ბოროტებას აფრქვევენ მარტოოდენ. იმავე დროს იგი ტახტის მოახლოვებული ასასრულის შიშით და კარგია, რომ მსახიობმა ბოლო სცენებში მინიატურულად დაახიავა იგი.

პიესის მიხედვით ოთარბეგი ორგანულად ათავსებს თავის ხასიათში სულეიმანისადმი გარეგნულ „მორჩილებას" მამულის იდუმალ ტრფიალთან. ეს შინაგანად მონოლიტური ფიგურა ერთის შეხედვით თითქოს ბრძენიცაა და უგუნურიც, დარბაისელიც და ზნეობამხატეც, პირდაპირიცაა და შეპარავიც. მსახიობი შ. ხერხეულიძე მართებულად ხსნის როლს, მაგრამ ხანდისხან არასასიამოვნო შეუსაბამობამდე მიდის (განსაკუთრებით გაიანესთან გათამაშებულ სცენაში).

გაიანე დრამის ყველაზე ცოცხალი ქმნილებაა. თუ მას მაღალი ფრაზა არ ემარჯვება სამშობლოს სიყვარულის დასამტკიცებლად, ძამულიშვილური გრძნობა ინსტიქტურად აქვს შთანერგილი. სწორედ ასეთად წარმოგვიდგინა თინათინ ლოლაძემ გაიანეს სახე. მეტს დახვეწას საჭიროებენ პანტომიმური სცენები, ერთგვარი „შერბილება" უნდა სიცილის სცენებსაც, ოდნავ სტილიზებულ ელფერს რომ ატარებენ.

ხალხური სინდისიერების, მისი ჩაუქრობელი იმედიანობის სიმბოლოა ანანია. მისი ზნეობრივი იდეალი სამშობლოა; ის ქედმოუხრელად იღწვის ნარეკლიან გზაზე. ეს არის ფუძე ჩვენი ნაციონალური მძლეობისა. სამშობლოს განთავისუფლების მოლოდინში იგი ყველაზე მეტს სწირავს მამულს, და ყველაზე ნაკლებს თხოულობს.

ვასო კახნიაშვილმა მკვეთრი ფერები იპოვა ამ კოლორიტული გმირის ხალასი ბუნების გამოსავლინებლად, რომ ერთგვარი მოდუნების ნიშნები არა სდევდნენ თან მის თამაშს.

ხალხური წიაღიდან ამოზრდილი გმირია დათოც, რომელიც იჩენს ვეფხვის სიმამაცესაც, როცა საქმე ბრძოლაზე მიდგება, და შეყვარებულის თბილ სინაზესაც, როცა გაიანე გამოიწვევს საამისოდ.

სწორედ ასეთია ალექსანდრე კალანდარიშვილი დათოს როლში.

ერეკლე უნებისყოფო ჩაბუკია. რა ვუყოთ, რომ მისი მშობლები და აღმზრდელი სხვა ყალიბის ადამიანები არიან. იგი მოტყუებული ქალაჩუნაა—არც მეტი, არც ნაკლები. ერეკლესა და დათოს ხასიათთა კოლიზია მკაფიოდ ავლენს ავტორის, რეჟისორისა და მსახიობის განზრახვის ერთიანობას. ამაშია ერეკლე—ალ. იმერლიშვილის გამარჯვებაც.

თუ დრამის მთავარი პერსონაჟები თანმიმდევრულად არიან დაწყვილებულნი (ოთარბეგი—ზეინაბი, ანანია—ისახარი, დათო—გაიანე), რუქაია ერთგვარად ქანაობს სოლეიმანსა და ერეკლეს შორის. ჰარამხანის ბოროტი გენია იქნებ მართლაც განიცდიდა ერეკლესადმი სიყვარულს, მაგრამ ეს იყო შემთხვევითი ეპიზოდი, წუთიერი გატაცება, რაც უფრო მეტად მოღალატური შურისძიებით იყო ნაკარნახევი. თ. ერისთავი რუქაიას მეტყველი შტრიხებით გვიხატავს.

რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობის გ. ივერიელის ისახარი პირველ სცენაში მისტიურ მონაზონს უფრო ჰგავს და ანალოგიით მტერთაგან აოხრებულ ძველ საქართველოს წარმოგვიდგენს. შემდეგ იგი უფრო ხელშესახები ხდება და გვიპყრობს კიდეც თბილი ტონებით.

„დალატის" დადგმა გორის თეატრისათვის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს.

# მცირე შენიშვნა

„ლიტერატურის და ხელოვნების" მე-17 ნომერში (19.5. 44) დაიბეჭდა პროფ. ი. აბულაძის წერილი „მზიანი ღამე" და „ცათა კულტი" ვეფხის-ტყაოსანში, ამ წერილში ავტორი სცდილობს დაამტკიცოს, სხვათა შორის, ისიც, რომ ჩვენს „პოემაში სჩანს ირანელთა ძველის-ძველი სექტის, ე. წ. სეფასიანების სექტის გავლენა". საიდან სჩანს ეს? ვეფხის-ტყაოსანში ნათქვამია: „ჰე, მზეო ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად". ფრაზა „მზიანი ღამე", რა აზრიც არ უნდა იყოს იმაში ჩადებული, რუსთაველის სოფლმხედველობის დამახასიათებელ, სპეციფიკურ ფიგურალურ თქმად უნდა ჩაითვალოს; ი. აბულაძის აზრით კი ის ნასესხებია სეფასიანთა სექტიდან. „სეფასიანების მოძღვრებით, ამბობს ის, მზე „მზიანი ღამის ხატია, მზიანი ღამე კი სუფევს სამოთხეთა სამოთხეში, რომელიც მე-10 ცაზეა". საიდან გაიგო ი. აბულაძემ, რომ „მზიანი ღამე" სეფასიანთა სექტის რელიგიიდან მომდინარეობს? ეს, ისე, როგორც სხვა ყველა, მის მიერ მოყვანილი ცნობა სეფასიანთა შესახებ, მისი განცხადებით, ამოღებულია კ. სმირნოვის შრომიდან: Персы, Очерк религий (აბულაძით—Истории) Персии, Тифлис 1916 г. კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ამ შრომაში არსად, არც 32-56 გვერდებზე, როგორც ი. აბულაძე უჩვენებს, არც სხვა რომელიმეზე, ასეთი ცნობა არ მოიპოვება. აი შესაფერისი ადგილები:

По верованию арийцев, рай был расположен на разных небесах до 9-го включительно, а на последнем—десятом был рай раев, блаженство которого состояло в постоянном созерцании бога. (Смирнов. стр. 32).

„სეფასიანთა რელიგიიდან მომდინარეობს რწმენა, რომლითაც სამოთხე მდებარეობს სხვადასხვა ცაზე მეცხრე ცამდის. მეათე და უკანასკნელ ცაზე კი მდებარეობდა სამოთხეთა სამოთხე, რომელზედაც სუფევდა განუსაზღვრელი ნეტარება, **მზიანი ღამე** (ხაზგასმა ჩვენია, ავტორები) და მუდმივი ხილვადობა ღმრთისა" (ი. აბულაძე).

საიდან გაჩნდა ი. აბულაძის თარგმანში „მზიანი ღამე", რომელსაც რუსულ დედანში ადგილი არა აქვს, ან სად ამოიკითხა მან სმირნოვის შრომაში რომ სეფასიანების რწმენით, მზე „მზიანი ღამის ხატია?".

ყველას უფლება აქვს საკუთარი შეხედულება იქონიოს ამათუ იმ სადისკუსიო საკითხის შესახებ, მაგრამ ეს გარემოება არავის არ უნდა აძლევდეს უფლებას თავისი შეხედულების დასამტკიცებლად შეთხზული, არარსებული ციტატები მოიყვანოს.

კ. კეკელიძე
ალ. ბარამიძე
ვუკ. ბერიძე

# ბიბლიოგრაფია
## გრ. აბაშიძის საბავშვო წიგნები

სამამულო ომის პერიოდში გრიგოლ აბაშიძემ ოთხი კარგი საბავშვო პოემა შესძინა ქართულ საბავშვო მწერლობას. ამ პოემებში ლამაზი, მხატვრული და ბავშვებისათვის გასაგები ენით მოთხრობილია ცხოველის ან ფრინველის მოქმედება. მათში აღძრულია ბავშვებისათვის ფრიად საინტერესო საკითხები, რომლებიც წარმოადგენენ გარკვეული ცოდნის წყაროს. მათი მეოხებით სწავლას მოწყურებული მოსწავლე ეცნობა მოვლენათა განვითარებას, ცხოვრების თუ ბუნების სხვადასხვა მხარეს.

გრიგოლ აბაშიძეს ჩვენს მწერლებში ყველაზე უფრო ეხერხება სიუჟეტიანი პოემების წერა. სიუჟეტურ ამბავზეა აგებული მისი საბავშვო პოემებიც. ამ მხრივ სანიმუშოა პოემები „რატომ არა აქვს კურდღელს კუდი" და „ნაბოლარა წიწილა". პირველში მოცემულია „ბოსტნის ქურდის" თავგადასავალი, მისი „გრძელი კუდის" ისტორია. აქ პოეტური ფანტაზია თითქმის ზღაპრამდეა აყვანილი. ბუნების უწყინარი ცხოველის კურდღლის თვისებებთან ერთად პოემაში მოცემულია აგრეთვე სხვა ცხოველების გარეგნობა, ხასიათი, თვისება და სხვა, რაც ბუნების ათვისების პროცესში აკმაყოფილებს ბავშვის ცნობისმოყვარეობას:

„პატარები ზოოპარკში
წავიდნენ და ნახეს ყველა:
ჭრელი ვეფხი, რუხი მგელი,
წითელი და შავი მელა.

ზოგს გალია იფარავდა,
ზოგს კედელი რკინის ზღუდით,
ყველას ჰქონდა ოთხი ფეხი,
ყველას ჰქონდა გრძელი კუდი.

მაგრამ,—ჰოი საოცრებავ!—
მნახველები შედგნენ წუთით,
ათიოდე კურდღელი წევს,
მაგრამ არც ერთს არ აქვს კუდი.

ვინ მოაჭრა კუდი კურდღელს?
ვინ დასაჯა ბოსტნის ქურდი?
კატას კუდი, ძაღლსაც კუდი,
რატომ კურდღელს არ აქვს კუდი?"

და ამ კითხვაზე პოეტი ლამაზი ენით, ნათელი სახეებით და მოვლენების ხალისიანი თანმიმდევრობით უყვება ბავშვებს პოეტურად გამოგონილ ამბავს, რომელიც საკმაოდ დამაჯერებელ ფორმებშია გაშლილი.

პოემა „ნაბოლარა წიწილა" უფრო სხვანაირ პრინციპზეა აგებული: იქ მოთხრობილია ბრძოლა ყვინჩილასა და ქათმების დაუძინებელი მტრის მელიას შორის.

„ნაბოლარა წიწილა" საკმაოდ მოზრდილი პოემაა, მაგრამ მისი კითხვით ბავშვი არ დაიღლება. სიუჟეტის კანონზომიერი განვითარება და იუმორისტულად დახატული ეპიზოდები მეტად საინტერესოს და მიმზიდველს ხდიან ამ ნაწარმოებს.

სულ სხვანაირად არის დაწერილი მისივე „მეცამეტე გოჭი" და „ავი ღლავი".

გრიგოლ აბაშიძე ცოცხალი, საინტერესო თემის მიგნების ოსტატია. ამას ცხადჰყოფს ყველა მისი ნაწარმოები. „მე ისეთი პოეტი მიყვარს,—ამბობს ფრანგი მწერალი ფრანსუა ფენელონი,—რომელიც მაღალ რასმეს დასწერს, მაგრამ ისეთი უბრალო ენით, ისე ტკბილად, რომ ყოველი კაცი იფიქრებს, მეც შევიძლებდი ასეთის დაწერასაო". სწორედ ასეთია „მეცამეტე გოჭი" და „ავი ღლავი".

პირველში მოთხრობილია დედის ძუძუს გარეშე დარჩენილი მეცამეტე გოჭის ამბავი. მეორე ნაწარმოები „ავი ღლავი" უფრო მნიშვნელოვანია. იგი ასე იწყება:

„დასავლეთის მდინარეში
დაიბადა ავი ღლავი—
მრისხანე და საზარელი
ტანიც შავი, თავიც შავი.

მცირე თევზს სულ გაწყო,
დიდი თევზის გემო სურდა,
გაჰკრა მხარი და ჩვენს ზღვაში
შუაღამით შემოცურდა.

ორმოსავით გაღებული
წამოიღო ხარბი ხახა,
გზად არაფერს არ ტოვებდა,
გადაყლაპა, რაც კი ნახა".

ბოლოს გადაყლაპა ზღვაში მცურავი ჩვენი ნავი, რომლის მსხვერპლიც გახდა ორმუცელა ღლავი.

დასასრულ ერთ სტროფში მოცემულია მთელი იდეა, რომელიც ბავშვს ასწავლის, თუ რა შედეგი მოსდევს სხვის ჩაგვრას:

„ავ ღლავს მუდამ სხვისი სურდა,
არ გააჩნდა თავის ხვავი,
სხვისის ნდომით, სხვისი ჩაგვრით
დაიღუპა ავი ღლავი".

„ავი ღლავი" მხატვრული ალეგორიის საუცხოვო ნიმუშია, აქ იგავ-არაკის ფორმით გადმოცემულია ის აზრი, რომ ყველა მტაცებელს (ამ შემთხვევაში ფაშისტ დამპყრობლებს) საბოლოოდ აუცილებელი განადგურება მოელით. ამ პოემის ალეგორიულ აზრს უფრო ნათელჰყოფს მხატვარ ს. ნადარეიშვილის ილუსტრაციები.

ოთხივე წიგნი ლამაზად არის დასურათებული.

ანდრო თევზაძე

## ბ. გორდეზიანი—„ქართველი მწერლები"

ყურადღებას იქცევს გორდეზიანის წიგნი „ქართველი მწერლები". ასეთი ალბომი ბიოგრაფიული ცნობებით გამოჩენილ ქართველ მწერლებზე დღემდე არ გამოცემულა. სისადავე და ლაკონიურობა მეტ ღირსებას აძლევს ამ პატარა ფორმატის წიგნს. ეს მასიობრივი მკითხველისათვის უაღრესად საჭირო და საინტერესო წიგნია.

ჩვენის აზრით კარგი იქნებოდა, რომ ავტორს მწერალთა დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები თვით ბიოგრაფიულ ცნობებში ჩაერთო. წიგნში კი ასე არ არის, სანამდე არ გადაშლით მწერლის პორტრეტს და არ ნახავთ ქვევით მიწერილ წლებს, მანამდე გაუგებარი რჩება როდის დაიბადა ან გარდაიცვალა ესა თუ ის მწერალი.

ამხ. გორდეზიანს რატომღაც ყურადღება არ მიუქცევია იმ გარემოებისათვის, რომ ზოგიერთი ქართველი მწერლის დაბადების თარიღი ახლად იქნა დადგენილი. მაგალითად გენიალური ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების თარიღად თბილისის ცენტრალურ არქივში 1940 წელს აღმოჩენილ დოკუმენტების მიხედვით საბოლოოდ დადგინდა 1817 წელს 15 დეკემბერი [1].

ავტორი წიგნისა კი ისევ იმეორებს ძველ თარიღს 1816 წელს. ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების თარიღი 1817 წელი შევიდა ყველა სასკოლო სახელმძღვანელო წიგნებში. კარგი იქნებოდა წიგნის ავტორს ამისათვის გვერდი არ აეხვია.

აგრეთვე, რაფიელ ერისთავის დაბადების თარიღად წიგნის ავტორს მოყავს ისევ ძველი დატა—1824 წელი. რაფიელ ერისთავის დაბადების თარიღად 1824 წელი საეჭვოდ მიაჩნდა გ. თუმანოვს (იხ. „დახასიათებანი და მოგონებანი" (რუსულ ენაზე), ეჭვს გამოსთქვამდა ა. ახნაზაროვიც, შალვა რადიანი სწერს (იხ. რაფიელ ერისთავი, ტომი პირველი 1935 წ.) „რაფიელ ერისთავის ბიოგრაფია ძალზე შეუსწავლელია და დაუმუშავებელი, მისი ცხოვრების მთელი რიგი ღირსშესანიშნავი ეპიზოდები დღემდე სრულიად უცნობია ან არასაკმარისად არის გაშუქებული. ადგილი აქვს არევდარევასაც (მაგ. დაბადების ადგილსა და თარიღში და სხვ.)"

ცენტრალურ საარქივო სამმართველოში აღმოჩენილ დოკუმენტის მიხედვით რაფიელ ერისთავის დაბადების თარიღად დადგინდა 1822 წელი 6 თებერვალი, და დაბადების ადგილად სოფ. ჭალა [2].

ნინო ხოშტარია

[1]) იხ. გაზ. „კომუნისტი" 20 თებ. 1940 წ. (საქდესის ცნობა) იხ. ჟურნ. „ჩვენი თაობა" № 4, გვ. 53-64.

[2]) იხ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო" 20 აგვისტო 1943 წ.

## „დიდი კობზარი ტარას შევჩენკო"

14 ივნისს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე მწერალმა ამხ. კიწურიშვილმა (ისამანმა) დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„დიდი კობზარი ტარას შევჩენკო"**. ნაშრომში ორი მთავარი ნაწილია: 1. შევჩენკოს ცხოვრება და შემოქმედება (პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფია, მისი შემოქმედების განვითარების პირობები, პოეტის ნაწერების ბედი, კობზარი, შინაარსი და პოეტიკა, ნაწერები რუსულ ენაზე, პოეტის დრამატიული თხზულებანი და დღიური — „შჩოდენიკ"-ი). 2. შევჩენკო და ქართველი ხალხი (შევჩენკო და ქართველი საზოგადოება, შევჩენკოს ნაწერების ქართული თარგმანები, საერთო მოტივები შევჩენკოს, აკაკისა და ილიას ნაწერებში).

ოფიციალური ოპონენტები იყვნენ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი სერგი დანელია და ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ვანო შადური. დისერტაციის გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღო აკადემიკოსმა გიორგი ახვლედიანმა. დისერტანტს ერთხმად მიენიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

## კოცუბინსკის სახლ-მუზეუმის აღდგენა

ქ. ჩერნიგოვში (უკრაინა) დაიწყო აღდგენა გამოჩენილი უკრაინელი მწერლის მ. კოცუბინსკის სახლისა, რომელიც ოკუპაციის დროს დაანგრიეს გერმანელმა დამპყრობლებმა. უკვე დამთავრდა ამ სახლის შეკეთება. ახლა მიმდინარეობს მისი მორთვა-მოწყობა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მიიტანეს ავეჯი, რომელიც მათ ჰიტლერელ ყაჩაღებისაგან დაიცვეს. სახლის ფასადზე მიმაგრებულია მემორიალური დაფა, აღდგენილი და გამშვენიერებულია კოცუბინსკის საფლავი, მისი სახლის ეზო და ბაღი. მოკლე ხანში ქალაქ ფრუნზედან ჩერნიგოვში გაიგზავნება სამამულო ომის წლებში გახიზნული ექსპონატები მუზეუმისა.

# ხალხური სიტყვა-თქმანი

**შვიდ მაისის წვიმა**—პრდ. წვიმა, რომელიც მაისის შვიდს წამოვა. **გდტ.** ძალიან შემრგო (განსაკუთრებით ქოსავლისათვის), მიმშველებელი, გაჭირვებისაგან მხსნელი, გამხარებელი. **შეად.** „აბა თუ კარგი ვჟველი ხარ, მიდი და გაახარე, გაადაღავე, როგორც ვარდი ფურჩქვნილი, **ერთი შვიდ მაისის წვიმასავით** დაუნამე დამწვარი გული!" (**ბარნოვი** — „ტფ. აჩრდ.", 46) **შეად.** **„წვიმავ შვიდ მაისისაო,** წუნარად მონამე დილის ცისკრისაო" (ხალხური). **შეად.** **„შვიდ მაისის წვიმაო**—თმა კოჭებამდინაო" (ხალხური). **შეად.** **„შვიდ მაისის წვიმაო** შვიდას თუმნად ღირდაო, საწყალსა და არასმქონეს აღარ გაუჭირდაო" (ხალხური). **შეად.** შვიდი ფეხი ყანა გქონდეს, **შვიდ მაისის წვიმა** მოხვდესო— „იმედი გქონდესო" (**პ. უმიკაშვილი,** I, 484).

მაისის შხაპუნა წვიმა, ჩვენის ხალხის დაკვირვებით, ჭირნახულისათვის მეტად მარგებლად ითვლებოდა. იმავე დაკვირვებით, ამ წვიმის მოსვლა ემთხვეოდა მაისის შვიდს, როცა საქართველოში სხვადასხვა წმიდანის დღეობა იცოდნენ, მაგალითად: გიორგობა, დიდგორობა, იოანე-ზედაზნელობა (ზედაზენში), შიომღვიმელობა, თვით შვიდ მაისობა (სოფელ ხიდისთავში, გორს ახლო) და სხვ.

მცხეთის მახლობლად, ზედაზენში შვიდ მაისობას, როცა ჭირნახულს წვიმა სჭიროდა, ზედაზნის ეკლესიაში დასვენებულ ხატს ღვთისმშობლისას უწვიმობით გაჭირვებული ხალხის სიბრალულით თვალთაგან ცრემლები წამოედინებოდაო, — ამბობს ლეგენდა. იმავე ლეგენდის თანახმად ცასაც უეჭველად უნდა გადმოეშვა თავისი ცრემლები—„წვიმა".

შვიდი მაისის წვიმა ხელს უმართავდა და შველიდა ყოველსავე, რაც აღმოცენდებოდა და იზრდებოდა. ხალხის ძველებური რწმენის მიხედვით, მცენარეთა გარდა, ეს წვიმა შველოდა ადამიანის თმის ზრდას. ამიტომ ქალები, ვისაც თავზე გრძელი თმა ენატრებოდა, ცით წამოსულ შვიდ მაისის წვიმას შიშველ თავს შეუშვერდნენ და სანამ სულ ერთიანად არ გაიწუწებოდნენ, არ მოეშვებოდნენ. ამაზედაა გამოთქმული ზემოთ მოყვანილი ლექსი, რომლის თანახმადაც, შვიდი მაისის წვიმას [illegible], ვინც მას [illegible] მართავდა [illegible], თითქოს თმა კოჭებამდე გაეზრდებოდა.

თუ უნდოდათ საუკეთესო სიცხარის ძმარი ჰქონოდათ ოჯახში, შვიდ მაისის ნაწვიმარ წყალს აგროვებდნენ, შიგ ცოტა ღვინოს გაურევდნენ და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საუკეთესო ღირსების ძმარი დაუდგებოდათ.

ძველებური რწმენის მიხედვით შვიდ მაისობას სოფლის მეწამლე დედაკაცები დილა ადრიანად მინდვრად გადიოდნენ წამლის ბალახების მოსათხრელად. ამ დღეს მოთხრილ საქიმო ბალახს მეტი ძალა აქვსო და ავადმყოფის მოსარჩენად მისი ხმარება უტყუარიაო.

აი ის თქმები, რაც დაკავშირებულია შვიდ მაისის წვიმასთან.

**ჭიპი აქ მოუჭრია**—პრდ. ჩემი ჭიპლარი მუცლისაგან მჭრელის იარაღით აქ მოუშორებიათ. **გდტ.** აქ დავბადებულვარ, აქ დიდისხნით ნაცხოვრები ვარ, ბევრი რამ მინახავს, ძალზე გამოცდილი ვარ ამ საქმეში. **შეად.** „შენი რისხვა არა მქონდეს,—მიუბრუნდა მერე ცბიერი მონა,—მე აქ ორმო არ მენახოს და არც გამეგონოს დღევანდლამდინა. აი **ჭიპი აქ მომიჭრია** და ამოდენა კაცს ლამის სულიც აქ დამელიოს, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, შენი ჭირიმე, კუდიანის საქმე ეგ არის!" (**ი. ჭავჭავაძე, II ტ., 249**). **შეად.** „ვისაც სოფელში არ **მოუჭრია ჭიპი**, ის ვერც დააფასებს და იგემებს სოფლის სიტკბოებას და არც მისი სიყვარული ექნება" (**მელანია—ორი საკლავი, 29**).

პირველი ოპერაცია, რომელსაც ახალდაბადებულს ადამიანის შვილს უკეთებენ, არის ჭიპლარის მოჭრა, მისი მოცილება მომყოლისაგან. ამიტომ არის ეს ოპერაცია ხალხის თქმაში ბავშვის დაბადებისა, მის ამ ქვეყნად გაჩენის დროის აღმნიშვნელიც.

ასე რომ, თქმა: **ჭიპი აქ** (ან ამ საქმეში) **მომიჭრია**, ნიშნავს: დაბადებიდანვე ჩემი დრო აქ გამიტარებია, აქაურობასთან დაბადებიდანვე შევზრდილვარ, დაბადებითვე ამ საქმის მეტი არაფერი მიკეთებია, ეს საქმე ზედმიწევნით ნაცნობია, მემარჯვება და მეადვილებაო.

* * *

„ლიტერატურა და ხელოვნების" მე-20 ნომერში დაწყებულია ბეჭდვა ჩემი ხატოვან სიტყვათქმების ლექსიკონის ნიმუშებისა. პირველად დაიბეჭდა სიტყვა ორომისა და ორომტრიალის განმარტება. მწერალი დემნა შენგელაია ხსენებულ გაზეთის მე-21 ნომერში უარჰყოფს ჩემს განმარტებას, რომელიც არსებითად სავსებით ეთანხმება საბა ორბელიანის განმარტებას ორომის შესახებ: „ესე არის ცომის გუნდათა დასაწყობელი გამოსაცხობად". ჩვენის ნეტარხსენებული ლექსიკოგრაფის განმარტება, მიუხედავად მისი სრული გარკვეულობისა და სიზუსტისა, საკმაოდ ბუნდოვანად მიაჩნია დ. შენგელაიას და ამბობს: ორომი იმერეთის სოფლებს ლორეშასა და ხუნევში ეწოდება ბრტყელ და მრგვალ ფიცარს, რომლის შემწეობით აკრავენ თონეში საპურე გუნდებსო.

პატივცემულ მოკამათეს მოვახსენებთ და დავარწმუნებთ: ორომი ზემო და ქვემო-ქართლსა, მთელს კახეთში, ერწო-თიანეთში უქვიათ სწორედ იმისათვის, რასაც უნდა ერქვას ეს სახელი და რაც დაიტევს, ლორეშულ ორომივით, ცომის ერთ გუნდას კი არა, არამედ ათსა და მეტს, მისატანად თონესთან, რომელიც უმეტეს შემთხვევაში საცხოვრებელს სახლს გარეთაა ეზოში, ზოგჯერ გადახურული და ზოგჯერ გადაუხურავადაც.

რაც შეეხება იმერულ ორომს, რომელსაც დემნა შენგელაია აგვიწერს, ქართლ-კახეთშიაც არის ასეთი რამ და ჰქვიან ლაფათა, მხოლოდ ეს ლაფათა განსხვავდება ფორმითაც და დანიშნულებითაც იმერულ ორომისაგან, რომელიც, თანახმად დ. შენგელაიას აწერილობისა, მრგვალი ფიცარია, ტარიანი, რომელიც იტევს ერთად-ერთს გუნდას. ლაფათა, თანახმად სტ. მენთეშაშვილის ეს-ეს არის გამოცემულ წიგნიერი ლექსიკონისა ფიცარია, ნიჩბის ფორმისა, ხელის მოსაკიდი აქვს, ცალმხარეს ბზეა დადებული და ზედ ტილოა გადაკრული, რომ ცოტა ამობურცული იყოს. ზედ გაბრტყელებულ ლავაშს გადააფენენ და მიაკრავენ თონეს".

აბა რას წარმოვიდგენდით, თუ ასეთი ჩვეულებრივი და ჯერ კიდევ ქართლ-კახეთში ხშირად ხმარებული სიტყვა ორომი ასეთს გაუგებრობას გამოიწვევდა, თორემ იმერულ ორომის ნაცვლად ექვივალენტის ლაფათის ახსნასაც დავძენდი.

თედო სახოკია

# ქრონიკა

### ა. პ. ჩეხოვის ხსოვნის აღსანიშნავი საღამოები თვითმოქმედ წრეებში

ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა ჩეხოვის დღეებთან დაკავშირებით ჩაატარა შემდეგი სამუშაოები: შეადგინა და დაუგზავნა თვითმოქმედ წრეებს საინსტრუქციო წერილი ჩეხოვის დღეებთან დაკავშირებით ჩასატარებელი საღამოების შესახებ. წრეებში ჩეხოვის შესახებ მოეწყობა მოხსენებები. შემდეგ კლუბებში დაიდგმება ჩეხოვის ვოდევილები და წაკითხული იქნება ნაწყვეტები მისი მოთხრობებიდან. ვოდევილების წიგნი, რომელიც გამოიცა სახლის მიერ, გაგზავნილ იქნა წრეებში სახელმძღვანელოდ და გამოსაყენებლად.

### სამხატვრო მეთოდური საბჭო ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლთან

საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის ძირითად ღონისძიებათა და შემოქმედებითი-მეთოდური საკითხების წინასწარი მომზადებისა და მათი საბოლოო განხილვის მიზნით, საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლთან, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს განკარგულებით, დამტკიცდა სამხატვრო-მეთოდური საბჭო შემდეგი შემადგენლობით: გრ. კოკელაძე, ვ. ქუშიტაშვილი, დ. ჯავრიშვილი, ი. გვინჩიძე, ა. გაბისონია (განსახკომიდან), ნ. გიორგაძე (აჭარიდან), ა. სოფრონოვი (აფხაზეთიდან), ყ. გალაევი (ოსეთიდან), მ. კაიშაური, გრ. კოსტავა, კ. ქუთათელაძე, შ. კილოსანიძე, ს. იაშვილი და შ. გაბესკირია.

ხალხური შემოქმედების სახლს დაევალა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დასამტკიცებლად წარუდგინოს სამხატვრო-მეთოდური საბჭოს დებულება და გეგმა.

საბჭოს სხდომები გაიმართება თვეში ერთხელ.

### რაიონული გუნდების გასტროლები თბილისში

ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის ინიციატივით და მოწვევით ივლისისა და აგვისტოს განმავლობაში თბილისის ცენტრალურ დასასვენებელ პარკში (ყოფ. მუშტაიდი), სტალინის სახელობის პარკში (ფუნიკულორის პლატო) და ფილარმონიის საზაფხულო ესტრადაზე გაიმართება რაიონული გუნდების კონცერტები.

ახალი, სამამულო ომის პერიოდში შექმნილი ხალხური სიმღერებით გამოვლენ შემდეგი გუნდები: ცხაკაიას რაიონული გუნდი რემა შელეგიას, ზუგდიდის რაიონული გუნდი კიწი გეგეჭკორის, მახარაძის რაიონული გუნდი ვ. სვიმონიშვილის, სამტრედიის რაიონული გუნდი პ. მიქაძისა და თელავის რაიონული გუნდი ფ. მახათელაშვილის ხელმძღვანელობით.

### ლიტერატურული საღამო აბრეშუმის კომბინატში

ამ რამდენიმე დღის წინ ქუთაისში ამხ. ვ. ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატის მუშა-მოსამსახურეებისათვის გაიმართა ანტიფაშისტური-ლიტერატურული საღამო.

ვრცელი მოხსენებით „საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი და ქართული მწერლობა" გამოვიდა ამხ. ვლ. გუგუშვილი. შემდეგ გაიმართა კონცერტი. კონცერტში გამოვიდნენ ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტთა თვითმოქმედი წრეები.

### გრ. იმედაძის პოემის განხილვა

ქუთაისის პედინსტიტუტში საქართველოს ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა 12 ივნისს მოაწყო ახალგაზრდა პოეტ გრ. იმედაძის პოემის „მამულის სიყვარულის" განხილვა. პოემა მიძღვნილია საბჭოთა კავშირის გმირის სერჟანტ ავალიანის საბრძოლო ცხოვრებისადმი.

სარედაქციო კოლეგია:
ო. ეგაძე, გ. ნატროშვილი (პ.-მგ. რედაქტორი), შ. რადიანი, ბ. ქიქოძე, ს. ჩიქოვანი, ვ. წულუკიძე, მ. ჭიაურელი.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი

1944-45 სასწავლო წლისათვის აწარმოებს განცხადებების მიღებას
სამსახიობო, სარეჟისორო და თეატრისმცოდნეობის ფაკულტეტებზე:

განცხადებათა მიღებას და დაწვრილებითი ცნობების გაცემას აწარმოებს ინსტიტუტის კანცელარია. რუსთაველის პრ. № 21. ტელ. 3-64 11.

მისაღები გამოცდები დაიწყება 12 ივლისს დილის 10 საათზე.

დირექცია.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 18, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

უე 07394

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28.